


СОВЕТСКИЙ СПОРТ



0153160
№ 1-2
1931

პ ი ო ნ ე რ ი

კომუნისტურ და მოსწავლეთა სოციალდემოკრატიულ-
ლუბარსურული ჟურნალი.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და
განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური
აღზრდის მთავარკამათველოშია ჟურნალი—გავშ-
რათვის.

№ 1-2

ი ა ნ ვ ა კომუნისტური
1931
 წელიწადი მე-6
 რედაქციის მისამართი:
 ტფილისი, რუსთაველის პრ.
 № 22.
 სახელგამი,
საგაზელო საქმისა


შინაარსი:

- გ. ქუჩიშვილი: ლენინს.
- სერგო აბულაძე : ნ. ლენინი.
- ა—ნი: შევისწავლოთ მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებანი.
- ს—ო: სისხლიანი კვირა და 1905 წ. რევოლუტია
- სეზმან: წითელი რაზმი.
- შალვა შაველაშვილი: მოგონება ცხრაასხუთზე.
- ნ—ია: დაწყო ბამბისათვის მზადება.
- გიორგი შატბერაშვილი: ბამბის მინდვრებზე.
- ს—გო: დიად სამუშაოთა პროგრამა.
- მ—ლი: გმირები აწამეს.
- ა. გველესიანი: პიონერ აკოფოვის მკვლელები.
- კა—ლო: ამხ. ბორის ძნელაძე.
- ვალ. აბულაძე: კოლექტური მუერნობა და მავნებლობა.
- პანტ. ჩხიკვაძე: ჩახუნდარა.
- სიმონ წვერვა: გენოს თავგადასავალი.
- არჩილ ჩაჩიბაია: ისევ შიში, ისევ ფიქრები.
- ა—ძე: იბრძოლეთ პოლიტექნიზაციისათვის.
- დ. შამათავა: პატარა კორესპონდენტი.
- სოლომონ მესტიაშვილი: საუბარი პიონერებთან.
- ნარევი.
- უდა მხატვარ აღდადანოვისა.



ქ-47

ახალი საფრთხე:
 ომის მუქარა,
 მაგრამ თუ ვინმემ
 ჩვენი საზღვრები ჩვენს
 გადმოლახა —
 გადმოიარა, —
 ვაი მას!
 მაშინ ჩვენი ხანძარი,
 როგორც ოქტომბრის
 ამტყდარი ქარი,
 წითელი წარღვნი
 მოივლის ხმელეთს,
 წითელ სამყაროდ
 გარდაქმნის ბნელეთს.
 აღარ იქნება
 მიჯნა, საზღვარი,
 შუღლი, ქიშკობა,
 დავა და ომი,
 შესწყდება ცრემლი
 და სისხლის ღვარი,
 აღორძინდება
 მსოფლიო შრომით,
 სადაც თანხმობით
 იცხოვრებს ხალხი
 ყოველი მოდგმის,
 ყოველი ტომის.
 და დამყარდება
 შრომის სუფევა
 ცეცხლით განწმენდილ
 დედამიწაზე,
 თუ ცეცხლმა შესძლო
 მახინჯთა ძლევა,
 იგივე ცეცხლი
 შობს სილამაზეს!



ლენინი ახალგაზრდობაში.

გ. ჭუჩუხიანი

ლენინს

ჩვენო ბელადო!
 შენი ხსენება
 ახალთაობას
 რაზმავს,
 აბრძოლებს,
 და კომუნიზმის
 სწრაფი შენება
 გამარჯვების გზით
 წინ მიგვაქროლებს!
 ლენინო,
 ვფიცავთ:
 შენს კომპარტიას,
 შენსავით მტკიცეს,
 შენსავით ურყევს,

ბოლშევიკური
 ნორჩი თაობა
 არ უღალატებს,
 არ გადაუხვევს!
 უკვე ცამეტი
 წელიწადია,
 რაც ხელთ გვიბყრია
 ძალა-უფლება
 და არც დავუთმობთ
 არვის, ცხადია,
 გინდ მტრების სროვა
 გვესიოს მგლებად!
 თუმცა კარზეა
 ისევ მომდგარი



ლენინი ტრიბუნაზე.

• ნ. ლენინი •

(ვლადიმერ ილიჩ ულიანოვი)
(1870—1924)

7 წელი სრულდება, რაც მსოფლიო პროლეტარიატმა დაჰკარგა რევოლუციის უდიდესი მასწავლებელი და საერთაშორისო პროლეტარიატის გენიალური, ბელადი ვლადიმერ ილიჩ (ულიანოვი) ლენინი.

ამს. ლენინი იყო ერთი იმ ბელადთაგანი, რომელთაც ისტორია თითოეულად აძლევს კაცობრიობას ასეთი წლების განმავლობაში და რომლების სახელთან დაკავშირებით აქმნება მთელი ეპოქები.

ლენინი იყო მშრომელი მასის უდიდესი ორგანიზატორი, ის გაბედულად მიუძღოდა წინ მშრომელთა შეკავშირებულ უდიდეს არმიას ძირმომპალი კაპიტალისტური სიმაგრეების დასანგრევად.


ლენინი არის უდიდესი მთავარსარდალი იმ ორგანიზაციულად შეკავშირებულ მთლიან მუშათა და გლეხთა მასებისა, რომლებმაც მისი ხელმძღვანელობით სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს საერთაშორისო კაპიტალიზმს 1917 წლის ოქტომბერში მსოფლიოს ერთ მეექვსედზე და საფუძველი ჩაუყარეს სოციალისტური რევოლუციის დასაწყისს.

ლენინი იყო მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდის — სახელოვანი კომუნისტური პარტიის — დამაარსებელი და ორგანიზატორი; მისი ხელმძღვანელობით მოხდა დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რამაც ისხნა მრავალმილიონიანი ერები ჩავარსებულ და საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში პირველ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ კავშირს.

ის იყო და დარჩება უდიდეს მასწავლებლად და ბელადად მსოფლიო მუშათა კლასისა და მისი რევოლუციონური შტაბის მკ-მ ინტერნაციონალის, რომელიც მედგრად და ურყევად ასრულებს თავისი უდიდესი მასწავლებლის ანდერძს: ბრძოლას კომუნისტური პარტიის ფოლადისებური სიმტკიცისა და მთლიანობისათვის.

თავისი უდიდესი მასწავლებლის ამ ანდერძებს ჩვენი პარტია სახილოვნად ასრულებს და პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ შეიარაღებულია ლენინიზმის ურყევი პრინციპებით, რის შედეგადაც სოციალისტური სახელმწიფოს ის გრანდიოზული მიღწევები, სოციალიზმის შენების საქმეში, რაც ამჟამად გვაქვს.

სოციალისტური რევოლუციის ანდერძი



ლენინი ოქტომბრის წინ.

ჩვენ აქ არ დაგვირდება ამს. ლენინის ბიოგრაფიის აღწერა, რადგან დღეს ვერ შეხვდებით საბჭოთა კავშირში წერა - კითხვის ვერცერთ მცოდნეს და გინდ უცოდინარს, რომელიც არ იცნობდეს ამ უდიდეს ადამიანს და მუშათა კლასის მასწავლებლებს.


ამს. ლენინის გარდაცვალების 7 წლის თავის აღსანიშნავად ჩვენს მოვალეობას შეადგენს: მომავალმა თაობამ, კომკავშირულმა ახალგაზრდობამ, რომელიც ატარებს თავისი უდიდესი მასწავლებლის სახელს „ლენინური“, და ჩვენმა მესამე თაობამ, თითოეულმა პიონერმა და მთელმა ორგანიზაციამ შევისწავლოთ ის უძვირფასო განძი, რომელიც მან საერთაშორისო პროლეტარიატს დაუთოვა ლენინიზმის სახით და რომელიც იყო, არის და იქნება მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში გამარჯვების იარაღი.

ამს. ლენინი სწორეთ მით იყო დიადი ადამიანი და მუშათა კლასის ბელადი და მასწავლებელი, რომ მისი

მოქმედება, მეცნიერული მოღვაწეობა დაკავშირებულია მუშათა კლასთან, მის ინტერესებთან, მის მომავალთან. ამიტომ იყო ის მუშათა კლასისთვის სოცდენ საყვარელი მასწავლებელი.

ამს. ლენინი დიდი ყურადღებით და სიყვარილით ეპყრობოდა მომავალ თაობას — ახალგაზრდობას, ის არა ერთხელ გამოსულა კომკავშირის ყრილობებზე შესანიშნავი სიტყვით სწავლის, კულტურის, კლასიური ბრძოლის და კომკავშირის ამოცანების საკითხების შესახებ, რაც დღესაც უმნიშვნელოვანეს და ღირსშესანიშნავ საგანძურს წამროადგენს ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობისათვის, ჩვენ ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ ამს. ილიჩის მოძღვრება და განვახორციელოთ კიდევ, რომ ვიყოთ ღირსნი სახელწოდების — „ლენინური ახალგაზრდობა“.

ის ამბობდა: „ძნელი არ იყო მეფის ჩამოგდება, ამისათვის სულ რამდენიმე დღე დაგვიკირდა, ძალიან ძნელი არ იყო მემამულეების გან-



ამხ. მოლოტოვი (სკრიაბინი) ს. ს. რ.
კ. სახკომსახტოს თავმჯდომარე.

რუსეთის სახკომსახტოს თავმჯდომარე

ბით კი მემარჯვენე ოპორტუნის წინააღმდეგ, როგორც მთავარ საშიშროებისა დღევანდელ ეტაპზე და კლასიური მტრის-კულაკის სასოწარკვეთილების გამომხატველის, და „მომემარცხენო“-ს წინააღმდეგ, რომელიც მემარჯვენეების პრაქტიკული ხაზის გამტარებელია.

პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის ხაზი ჩვენი ბოლშევიკური პარტიის გენერალური ხაზია, რასაც უნდა დავუმორჩილოთ მთელი ბრძოლის, მუშაობის და მთელი კომკავშირის და პიონერორგანიზაციის ინტერესები. აღსანიშნავია, რომ კომკავშირი, რომელიც ლენინურ სახელს ატარებს და რასაც ლირსეულად ატარებდა ლენინის სიცოცხლეში, ლენინის ანდერძს მისი გარდაცვალების შემდეგაც თანამიმდევრობით ასრულებს.

ლენინის მეორე ძირითადი ანდერძი ახალგაზრდობისადმი იყო: „არ მოვწყდეთ ფართე მასებს, არამედ თან გავიყოლიოთ, გავუძღვეთ მუშური და მშრომელი ახალგაზრდობის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ მშრომელ ახალგაზრდობას, და მივცეთ მას დისციპლინის და აღზრდის მაგალითი, რადგან მუშური-გლეხური ახალგაზრდობის ფართო მასების კომუნისმის მშენებლობაში ჩაუბმელად კომუნისტურ საზოგადოებას ვერ ააშენებთ“. ამით ამხ. ლენინი მოითხოვდა არ ჩავკეტილიყავით სკოლებში და არ ჩამოვშორებოდით ახალგაზრდობის მასებს. ეს ამოცანა, ლენინის ნაანდერძევი, დღესაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს ზოგიერთი ორგანიზაცია პროლეტარული ახალგაზრდობის კავშირის რიგებში ასი პროცენტით შემოკრების ღოჯუნებს.

კიდევ უფრო საჭირობოროტია დღესთვის ილიჩის მესამე ანდერძი, სადაც ის ლაპარაკობს, თუ საით და როგორ უნდა წარვმართოთ ახალგაზრდობის აქტივობა და ენერჯია, რომ დავუქვემდებაროთ კავშირის მუშაობა კლასიური ბრძოლის ამოცანებს და კომუნისტური აღზრდის საქმის სწორედ დაყენებას.

ის ამბობს: „თქვენ უნდა იყოთ კომუნისტური საზოგადოების პირველი მშენებელი მშენებელთა მილიონებს შორის.“

კომკავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველგვარ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, იჩენს თავის ინიციატივას და თავის თაონობას.

თქვენი სწავლის ყველა ამოცანა ისე უნდა დასვათ, რომ ყოველდღე რომელ სოფელში და ქალაქშიაც გინდა იყო, ახალგაზრდობა პრაქტიკუ-


დენა — ამის გაკეთება სულ რამდენიმე თვეში შეიძლებოდა, არც ძალიან ძნელი იყო კაპიტალისტების განდენა, მაგრამ კლასების განადგურება გაცილებით უფრო ძნელია.“
„საჭიროა ყველა ერთი საერთო გეგმით მუშაობდეს, საერთო მიწაზე, საერთო ქარხანა-ფაბრიკებში, საერთო განაწესით. ადვილი გასაკეთებელია ეს? აქ თქვენ ხედავთ, რომ არ შეიძლება ამ საკითხის გადაწყვეტა ისე ადვილად, როგორც მეფის, მემამულეების და კაპიტალისტების განდენა იყო ადვილი. აქ საჭიროა, რომ პროლეტარიატმა ხელახლად აღზარდოს, გადაამზადოს გლეხობის ნაწილი, გადმოიბიროს ისინი, რომელნიც მშრომელ გლეხობას წარმოადგენენ, რომ დასძლიოს წინააღმდეგობა გლეხობის იმ ნაწილის, რომელნიც მდიდრებს წარმოადგენენ და დანარჩენების გაჭირვების ანგარიშზე მდიდრდებიან. მაშასადამე, პროლეტარიატის ბრძოლის ამოცანა არ დამთავრებულა მით, რომ ჩამოვაგდეთ მეფე, განვდევნეთ მემამულეები და კაპიტალისტები. კლასიური ბრძოლა გრძელდება, მან მხოლოდ შესცვალა თავისი ფორმები და ჩვენი ამოცანა ყველა

ინტერესი ამ ბრძოლას დავუქვემდებაროთ“.

ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა — ლენინის ამ ყოვლის გამომხატველი ანდერძით გავმსჭვალოთ მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი ბრძოლა.

მუშათა კლასის ბრძოლის ამოცანები თხოულობს, რომ სოციალიზმის ასაშენებლად ჩვენი განვითარების დღევანდელ ყველა ფრონტზე გაშლილ იქნეს სოციალისტური შეტევა: ინდუსტრიალიზაციის უჩქარესი ტემპებისათვის, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის, მსხვილ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების აშენებისთვის, ჩვენი ორგანიზ. გაბედული ძირფესვიანი გადახლისებისთვის, ჩვენი პროფესიონალური, საბჭოთა, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე გადაყვანისათვის.

ეს კლასიური ბრძოლის ამოცანები პარტიის გენერალური ხაზის სახით არის მოცემული, რომელიც გვავალდებს ბოლშევიკურად ვაწარმოოთ შეურიგებელი ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, განსაკუთრე-



კომკავშირელი ტრაქტორზე.

ლად უნდა ასრულებდეს საერთო შრომის ამა თუ იმ ამოცანას, თუ გინდ ძალიან უბრალოს და პატარას“ და მიუთითებდა, რომ პრაქტიკულ საქმიანობაში აუცილებელია კომუნისტური შეჯიბრი.

პარტიისა და კომკავშირის მიერ დასმული ღონისძიებები „პირით წარმოებისაკენ“, აქტიური მონაწილეობა სოცშეჯიბრში, დამკვეთლობაში, ენერგიული მონაწილეობა რაციონალიზაციის საქმეში, გმირული მაგალითები კომუნისტური შრომის ფორმების და წარმოებასთან სოციალისტური დამოკიდებულების, კოლმეურნეობის საწარმოო ლაშქრობა, საფაბრიკო - საქარხნო სკოლები, ჩვენი ორგანიზაციის რიგების შესაფერი გადახალისება, — ყველა ეს წარმოადგენს იმ ამოცანებს, 10 წლის წინად რომ მიგვითითა ლენინმა მიმდინარე სოციალისტური მშენებლობის ეტაპთან შეფარდებით, ის ამბობდა: „უნდა აღიზარდოთ სოცალმშენებლობის აქტიურ მონაწილეობაში და ამ უდიდესი პრაქტიკის საფუძვლებს დაუკავშიროთ მარქსისტული თეორიის შესწავლა და მისი გადაქცევა სახელმძღვანელოდ კომუნიზმის ასაშენებელი მუშაობის პრაქტიკულ საქმიანობაში“. — ასე მიუთითებდა მე-4 მთავარ ამოცანას, ახალგაზრდობის წინაშე დასმულს. შემცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ საქმარისი იყოს კომუნისტური ღონისძიებების, მეცნიერების დასკვნების შეთვისება, გარეშე იმისა, თუ არ შევითვისებთ იმ ცოდნის ჯამი, რის შედეგსაც თვითონ კომუნიზმი წარმოადგენსო. ეს დავალება მარქსისტულ სწავლაზე და თეორიულ მომზადებაზე დღეს ყველაზე

უფრო დროული და აუცილებელია ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ეს ამოცანები, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და რომლებსაც ლენინი მიუთითებდა, დღესაც დგას ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიღრმით და მნიშვნელობით. ჩვენ უკვე შევედით კლასიური ძვრების ეტაპში. მუშათა კლასმა ლენინური გენერალური ხაზის გატარების საფუძველზე მოიპოვა უდიდესი მიღწევები კლასთა განადგურების საქმეში, პირდაპირ დასვა და პრაქტიკულად ანხორცხელებს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

ს. ლენინი



კომკავშირელი ქალი ტრაქტორზე.

ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ღონისძიებანი იწვევს კლასიური ბრძოლის მეტ გამწვავებას და ოპორტუნისტული ელემენტების კიდევ უფრო მეტ მწვერივლ წინააღმდეგობას, რომელნიც კულაკურ აგენტურას წარმოადგენენ ჩვენს პარტიაში.

ამიტომ უნდა ვეცადოთ მთელი ჩვენი მუშაობა დაუქვემდებაროთ პროლეტარიატის და მისი პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის ამოცანებს, პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრასთან შეურიგებელი ბრძოლით.

ამ საკითხის განხორციელების პროცესში უნდა ვეცადოთ, რომ სოცშეჯიბრი და დამკვეთლობა ავიყვანოთ უმაღლეს საფეხურზე — უფრო მეტი ახალგაზრდა მასების მასში ჩაბმით.

ყოველივე ზემოთქმული გვადასტურებს ახალგაზრდობას, მოვკიდოთ მეტი ენერგიით ხელი, კიდევ უფრო მეტი სიღრმით შეუდგეთ მარქსიზმ - ლენინიზმის სისტემატიურ შესწავლას — თითოეული უფრედი, კავშირის თითოეული წევრი და პიონერი, რომ ლენინიზმით მომზადებული შეხვდეს ყოველგვარ სიძნელეს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პროცესში.


ამ ანდერძების შესრულებით დავიმსახურებთ ჩვენი უდიდესი ბელადის, საყვარელი მასწავლებლის და ამხანაგის ლენინის სახელწოდებას — „ლენინური“.



შევისწავლოთ მე-10 ყრილობის

გადაწყვეტილებანი

25 დეკემბრიდან 1 იანვრამდე მიმდინარეობდა საქართველოს კომკავშირის მე-10 ყრილობა, რომლის წინაშე



კომკავშირელები კითხულობენ გაზეთს მე-10 ყრილობის შედეგებზე.

ლაში კიდევ უფრო გამოიბრძმედა იდეურად და განმტკიცდა ორგანიზაციულად საქართველოს კომკავშირი. ამრიგად, საქართველოს კომკავშირის მე-10 ყრილობაზე ჩვენი ორგანიზაცია, ლენინის მემკვიდრეობის დაცვა, ერთსულოვანი და ფოლადისებური რიგებით მოვიდა.

მე-10 ყრილობამ პირველად შეამოწმა სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანებისაკენ პირით შემობრუნებაში საქ. კომკავშირის მიერ მიღწეული წარმატებანი.

ყრილობა, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა სამეურნეო-პოლიტიკურ საკითხებს, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარების ამოცანებს და ამ ფრონტებზე არსებულ მიღწევა-ნაკლოვანებებს, სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე საქ. კომკავშირის მიერ წარმოებული მუშაობის დემონსტრაციად გადაიქცა.

ხაზისათვის თავგამოდებული ბრძოლის პერიოდი იყო.

ლენინის მემკვიდრეობის პრინციპების მტკიცედ დაცვით, ორ ფრონტზე ბრძოლით, — მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საშიშროების, აგრეთვე „მემარცხენე“ გადახრის და მათდამი შემარცხენელ განწყობილებათა წინააღმდეგ ბრძოლით, — ახალგაზრდობის შემოქმედებითი ინიციატივის და შრომითი ენტუზიაზმის ფართედ გამოყენებით, საქართველოს ლენინურმა კომკავშირმა უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია, აქედან კი, რაც მთავარია, მან შესძლო რეკონსტრუქციის პერიოდის სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანებისაკენ კომკავშირის ორგანიზაციების ძირითადი შებრუნება. მრეწველობასა და წარმოებებში კომკავშირის ორგანიზაციებმა უკვე მოგვცეს სოციალისტური შრომისა და სოციალისტური მეურნეობისადმი დამოკიდებულების იშვიათი ფაქტები. ბრძოლა საწ. საფ. ვეგემებისათვის, ბრძოლა ხუთწლიის 4 წელში შესრულებისათვის, ბრძოლა პარტიის ხაზისათვის აი. ძირითადი ამოცანები, რომლებიც კომკავშირის თითოეული საწარმოო უჯრედის მუშაობის ქვაკუთხედად გადაიქცენ. საკავშირო მუშაობაში ჩვენ ახალა უდიდესი გარდატეხის ფაქტის წინაშე ვდგავართ. ეს გარდატეხა ძირითადად სამეურნეო მშენებლობისაკენ კომკავშირის ორგანიზაციების მიერ პირით შებრუნებაში გამოიხატება.

მაგრამ შემობრუნების პროცესი არ დამთავრებულა. კერძოდ სოფლის


მეტად მნიშვნელოვანი საკითხები იდგა.

მე-10 ყრილობა ჩვენს სინამდვილეში ისტორიული მნიშვნელობის ყრილობად უნდა ჩაითვალოს; მან გარკვეული პასუხი მოგვცა იმ საკითხებზე, რომლებსაც ჩვენს წინაშე აყენებს რეკონსტრუქციის პერიოდი.

ყრილობის მთელი მუშაობა მე-16 პარტიული ისტორიულ გადაწყვეტილებათა და საქ. კ. შ. (ბ) ცქკას 3 სექტემბრის მიმართვით დასახულ სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანათა შესრულებაში კომკავშირის მონაწილეობის შემოწმების ხაზით მიმდინარეობდა.

მე-10 ყრილობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ლენინური კომკავშირი ურყევად დგას ლენინის მემკვიდრეობის დაცვა და ბოლშევიკური შეურყეველობით იბრძვის პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი ოპორტუნისტული გადახრის და მათდამი შემარცხენლობის წინააღმდეგ.

კომკავშირმა გამანადგურებელი პასუხი გასცა სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე - „მემარცხენე“ ბლოკის და მის მომხრეთა ანტიპარტიულ გამოსვლებს. კონტრრევოლუციონურ ტროცკიზმთან, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტთან და მათდამი შემარცხენლობასთან ბრძო-



პიონერები კითხულობენ ჟურნალ „პიონერს“

სწორედ ამას გამოხატავდა თითოეული დელეგატის გამოსვლა, თითოეული საბრძოლო პათაკი და სხვა, რომლებიც ლაპარაკობდნენ კომკავშირის გამირული მუშაობის საუკეთესო ფაქტებზე.

ყრილობამ ნაცხებით სწორი ანალიზი გაუყეთა ჩვენს მიერ განვიღო პერიოდს; ეს პერიოდი თუ სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში გარდატეხის პერიოდს წარმოადგენდა, იგი საქართველოს კომკავშირის მუშაობაში სამეურნეო მშენებლობის ამოცანებისაკენ შემობრუნებისა, კომკავშირული მასების იდეურ-პოლიტიკური ზრდის აქტივობისა და შემოქმედებითი ენტუზიაზმის გაღრმავებისა და პარტიის გენერალური



პიონერები ათვალეირებენ კედლის გაზეთს.

ორგანიზაციებში ვერ კიდევ ვხვდებით ჩამორჩენილობას, სოფლის მთელ რიგ ორგანიზაციებში ეხლა იწყება

სამეურნეო მშენებლობისაკენ შემობრუნების პროცესი.

საქართველოს კომკავშირმა შესძლო სამეურნეო მშენებლობისაკენ ძირითად შემობრუნება, მაგრამ ბრძოლა ძირითადი სამეურნეო პოლიტიკური ამოცანებისათვის, ქვანახშირისათვის, ლითონისათვის, ელექტროფიკაციის და ტრანსპორტისათვის — არ გამხდარა ამ დარგების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მთავარი ღერძად.

ყრილობამ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ახლა საწარმოო ორგანიზაციების მთავრ ამოცანას ძირითადი სამეურნეო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლა უნდა შეადგენდეს შემხვედრი გეგმისა, სოცშეჯიბრისა და დამკვერდობის პრინციპულ სიმალდემდე აყვანა, საკუთარი რიგების მთლიანად გარდაქმნა, შემოქმედებითი ინიციატივის სათავეში მუშა-ახალგაზრდობის ჩადგომა, აქტიობის ორგანიზაცია და სხვა აი ის ამოცანები, რის გარშემოც უნდა დავრავშმოთ მშრომელი ახალგაზრდობა.

მესამე სამეურნეო წელი შეუძლებელია გადაიქცეს გადამწყვეტ წელად, თუ ამ წელს არ გადიდდა ტემპები, თუ არ დავრავშმოთ მშრომელი მასების მთელი შემოქმედებითი ინიციატივა და შრომითი ენტუზიაზმი. ამიტომ ბრძოლა მესამე სამეურნეო წლის ტემპებისათვის, ბრძოლა ხუთწლედის 4 წელში შესრულებისათვის უნდა მოექცეს კომკავშირის ყველა საწარმოო ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

ყრილობამ განსაზღვრა ახალი ამოცანები საქართველოს კომკავშირის შემდგომი მუშაობისათვის ახალ ეტაპზე.

ყრილობამ არა ნაკლები ყურადღება მიაქცია ბავშვთა შორის მუშაო-



გღრის პიონერაზმი ლითონის შეგროვებაზე.

ბას. ბავშვების მასების აღზრდაში ჩვენ უნდა მივყვეთ ლენინის ანდერძს, რომელიც გვასწავლიდა: „ჩვენ უნ-

და მივალწვიოთ მას, რომ უკვე აღდგა, უკვე აღდგა და სოფლად ახალგაზრდობას წაშვეთდეს საერთო შრომის პრაქტიკულ ამოცანებს, დეესულ მცირეს, დეესულ მარტივ ამოცანებს“.

ყრილობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ბავშვთა კლასობრივ აღზრდას, ყრილობა აღნიშნავდა აგრეთვე, რომ პიონერორგანიზაციები უფრო აქტიურად უნდა ჩაებენ სოციალისტურ მშენებლობაში.

მეცხრე ყრილობიდან მე-10 ყრილობამდე პიონერორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა.

მე-10 ყრილობისათვის მასში ითვლება 175486 კაცი, გოგონების რაოდენობის ზრდა ორგანიზაციებში, უფრო სწრაფი ტემპით მიდიოდა, ასე რომ მათი პროცენტი, 1928 წელთან შედარებით, 32,55 პროცენტიდან 1930 წლის აპრილში 42,7 პროცენტამდე ავიდა და ა. შ.




პიონერები კითხულობენ გაზეთს.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა ბავშვთა შორის უფრო მეტი მუშაობის წარმოება მომავალში, რათა ისინი უფრო აქტიურად დავრავშმოთ სოცმშენებლობის პრაქტიკულ ამოცანათა შესრულებაში.

ყრილობა არა ნაკლები ყურადღებით მოექცა სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად განვითარების საკითხებს, კერძოდ კი-კომკავშირის მონაწილეობას სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

სოფლის მთელი რიგი ორგანიზაციები კვლავ ჩამორჩებიან სამეურნეო მშენებლობის მაღალ ტემპებს, ბრძოლა კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისათვის, მესაქონლეობისა და ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის, - ასეთია მე-16 პარტყრილობის და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მსექტემბრის მომართვის მიერ განსა-

ზღვრული სამეურნეო პოლიტიკური ამოცანები სოფლად მუშაობის დარგში, და ამავე საფუძველზე აგებული



პიონერი — დაფასთან.

ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში კომკავშირის მონაწილეობის შესახებ.


ამიტომ კომკავშირის სოფლის ორგანიზაციებმა მთელი მუშაობა ამ უდიდესი ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლას უნდა დაუქვემდებარონ. ამ ამოცანების შესრულებისაკენ შემობრუნების გარეშე შეუძლებელია სოფლის ორგანიზაციების ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის შესახებ ლაპარაკი.

ცეკას საანგარიშო მოხსენების გარეშე მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დასახა საკავშირო მუშაობის ცალკეული დარგებისათვის, როგორც არის პროლეტარული ბირთვის შემდგომი ზრდა, კომკავშირული მასების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, აქტივის აღზრდა, დაწინაურება და სხვა.

ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება შეუძლებელია ამ ამოცანების და საერთოდ ყრილობის ყველა გადაწყვეტილების კომკავშირულ ფართო მასებში გადატანისა და გაცნობის გარეშე.

მე-10 ყრილობის ისტორიული გარდაწყვეტილებების პრაქტიკულად შესწავლას ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ. ადგილებზე კომკავშირის უჯრედებმა ყრილობის შედეგების შესწავლა თავისი დღის წესრიგის პირველ საკითხად უნდა დასვან.

ყოველმა კომკავშირელმა, ყოველმა მშრომელმა ახალგაზრდამ, ყოველმა პიონერმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს საკ. კომკავშირის მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებანი.



ს — მ

ნახატი მხ. ალადადანოვისა.

სისხლიანი კვირა და 1905 წ. რევოლუცია

ა.წ. იანვარში ჩვენ ველტასწაულობთ 1905 წლის რევოლუციის 25 წლის თავს და ვიკონებთ იმ სისხლიან კვირას (9 იანვარს), რომელიც, როგორც ლენინი უწოდებდა, რევოლუციის დასაწყისს წარმოადგენს რუსეთში

1905 წლის 9 იანვარს ქ. პეტერბურგის ყველა კუთხიდან მუშების ათი-ათასიანი მასები თავს იყრიან მეფის სასამართლო სასახლის წინ მოედანზე მღვდელ გაბონის ხელმძღვანელობით, ჯვრებით და ხატებით ხელში, რომ გადასცენ მეფეს თხოვნა (პეტიტია) გაჭირვებული ხალხისათვის ყურადღებებს მისაქცევადა. იმ ცეცხლის მიზეზი, რომელმაც ალში გახვია ქვეყანა, იყო შრომისა და კაპიტალის ჩვეულებრივი შეტაკება — უბრალო ქარხნის მუშების გაფიცვა. აღსანიშნავია, რომ პეტროლოვის ქარხნის მუშების გაფიცვა 1905 წლის 9 იანვარს გამოწვეული იყო პროლეტარული სოლიდარობით: გაფიცულნი მოითხოვდნენ 4 მოსხნილი მუშის უკან დაბრუნებას. ყველა ქარხნებში დაიგზავნენ დელეგაციები, რომ გაფიცულებს შეეთხოვებოდნენ და თავისი მოთხოვნები წარმოედგინათ მეფისათვის ერთიანი თხოვნის წარსადგენად. მუშებს ხელმძღვანელობდა პროვოკატორი მღვდელი გაბონი, რომელმაც გულუბრყვილო მუშები დააჩივრა მეფის გულუფთობასა და ხალხისადმი სიყვარულში. მეფის მთავრობის ჯარები უკვე მზად იყვნენ. ყაზახები დაერივნენ უიარაღო მუშებს, ქალებს და ბავშვებს და სისხლის მორევში ჩაახრჩვეს უიარაღო ხალხი.

1000 მოკლული, 2.000 დაჭრილი! ამ მოვლენამ გამოაფხიზლა მუშათა კლასის ჩამორჩენილი ფენებიც, რომლებსაც გულუბრყვილოდ სჯეროდა მეფის გულუფთობა.

1905 წლის რევოლუცია 9 იანვრის სისხლიანი კვირით დაიწყო. მეფის მთავრობამ მაშინ თავლახინო გაკვეთილი მისცა პროლეტარიატს, რომ უახრობა რაიმე იმედის დამყარება „მეფე-მამაზე“, და წინანდელი მორჩილება შესცვალა ბრძოლის ყიფინამ: „იარაღი-კენ“!

მუშათა კლასმა სისხლიან კვირას უბასუხა გაშლილ მასიური სავადიყო მოძრაობით, რომელიც მთელ რუსეთს მოედო. ლენინი არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნაო, ან წლის 9 (22) იანვრის თარიღის უდიდეს რევოლუციურ მნიშვნელობას და სამართლიანად ამბობდა სწორედ ამ დღედა იწყება 1905 წლის რევოლუცია.

განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მოძრაობამ პოლონეთში—ვარშავაში, ხოლო შემდეგ—ლოპში, უკრაინასა და ამიერკავკასიაში. ლოპში მოხდა ნამდვილი შეიარაღებული აჯანყება, რომელშიაც გამოსჭვივოდა „არა მარტო რევოლუციონური აღფრთოვანებისა და გმირობის ახალი სახე, არამედ ბრძოლის უმაღლესი ფორმებიც“.

რევოლუციური ბრძოლის წარმოებისათვის, მრავალმილიონიანი მასების დაპყრობის ტაქტიკის ნიშნის ქვეშ, რევოლუციის დაწყებისთანავე ბოლშევიკები ამზადებდნენ პროლეტარიატ შეიარაღებული აჯანყებისათვის, ამავე დროს მენშევიკები, მასების რევოლუციონური აღტყინების მიუხედავად, ცდილობდნენ 9 იანვარი გამოეყენებიათ რს მიზნით, რომ შეენელებათ მუშათა კლასის რევოლუციონური ტალღა და ექადაგებათ კუდში ჩანჩალის ტაქტიკა.

აჯანყებისათვის ბრძოლაში დღი მნიშვნელობა ქონდა ჯავშნოსან „კნიაზ პოტიომკინზე“ აჯანყებასა, რაც მოხდა ოდესაში გაშლილი რევოლუციონური მოძრაობის დროს.

„პოტიომკინ“-ის აჯანყებამ გადაჭრი დასვა რევოლუციონური არმიის დახმარებით მთავრობის დახშობის საკითხი

30 (17) ოქტომბრის მანიფესტი ფანდი იყო, რომლის შემქნელითაც მთავრობა შეეცადა შეენელებია რევოლუციონური ქარიხნალი და დაესუსტებია რევოლუციონური იერიში. თვითმპყრობელობამ ერთის ხელათ გამოაცხადა მანიფესტი, მეორე ხელით კი რევოლუციის წინააღმდეგ ამოქმედდა თავის მიერ დარაზმული მთელი კონტრ-რევოლუციონური ძალები და ჩაახშო ქვეყანა სისხლსა და შავრახმულ თარეშში. ეს იყო კონტრრევოლუციის კარგად მოფიქრებული ტაქტიკა, რა სწორედ ასე შეაფასა იგი ლენინმა.

ოქტომბრის გაფიცვისა და რევოლუციონური ბრძოლის შემდგომი განვითარების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭა საბჭოებს.

ლენინს საბჭოები მიაჩნდა ახალი რევოლუციონური ხელისუფლების ორგანოებად, დროებითი რევოლუციონური მთავრობის კონკრეტულ ფორმად. 1920 წელს, როცა იგი დატბრუნდა საკითხს 1905 წლის რევოლუციაში საბჭოების მნიშვნელობის შესახებ, ლენინმა ასე დაახასიათა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის კამათი საბჭოების მნიშვნელობაზე:

„კამათი საბჭოების მნიშვნელობის შესახებ მაშინ უკვე დავგმირებული იყო დიქტატურის საკითხთან. 1905 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე ბოლშევიკებმა დასვენეს საკითხი დიქტატურის შესახებ. „დიქტატურის“ ამ ლოზუნგს მენშევიკები უარყოფითად უტყუდნენ, ბოლშევიკები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მუშათა დემუტატების საბჭოები „ეაქტიურად წარმოადგენენ ახალი რევოლუციონური ხელისუფლების ჩანახასს, როგორც ამას სიტყვა-სიტყვით ამბობდა ბოლშევიკური რევოლუციის პროექტი. მენშევიკები, აღიარებდნენ რა საბჭოების მნიშვნელობას, მხარს უჭერდნენ მათ შექმნას და სხვა, მაგრამ არ სთვლიდნენ მათ რევოლუციონური ხელისუფლების სათავედ და საერთოდ არაფერს ამბობდნენ „ახალი რევოლუციონური ხელისუფლების შესახებ“.

შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ლოზუნგი, როგორც ბრძოლის ყველაზე უფრო ნამდვილი, გადაწყვეტი და რევოლუციონური მეთოდი. ბოლშევიკებმა წამოაყენეს ჯერ კიდევ პარტიის შესამე ყრილობაზე და მას შემდეგ განუწყვეტილი ეწეოდნენ ამ იდეის პროპაგანდას მუშათა კლასის რიგებში, ამზადებდნენ მას პრაქტიკულ განხორციელებას და ამ მიზნით საშუალო ცენტრებში აწყობდნენ მუშათა მეტროლ რაზმ.



ის, ვისაც არ უნახავს ჟანდარმი.



ისინი, რომლებმაც დაანიავეს ჟანდარმები.

გებს—1917 წლის წითელი გვარდიისა და ბოლშევიკური დიქტატურის ეპოქის წითელი არმიის ჩანასახს.

ერთის მხრივ—რევოლუციონური მოძრაობის განვითარებამ, ხოლო მეორეს მხრივ—რევოლუციის ყველა მონაპოვრის წინააღმდეგ თვითმპყრობელობის გვერდის დაშორებამ ნოემბრის გადაცემის დამარცხების შემდეგ, გამოიწვიო რევოლუციონური ბრძოლის აზვირთება.

1905 წლის 17 (4) დეკემბერს მუშათა დეპუტატების მოსკოვის საბჭომ პროლეტარულ მასებს მოუწოდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის და შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

დეკემბრის აჯანყება მოსკოვში განმარტობული არ დაჩქარდა. მან ფართო გამოსახილი ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში—მრავალ დიდ ქალაქში დაიწყო აჯანყება, რომელსაც გლეხობაც გამოეხმებოდა.

მუშათა მასიურ რევოლუციონურ მოძრაობასთან უშუალოდ დაკავშირებით ვითარდებოდა გლეხური რევოლუციონური მოძრაობაც. ეს მოძრაობა თებერვალში—მარტში დაიწყო მუშათა კლასის მასიური ბრძოლის ზეგავლენით, რაც სისხლიანი კვირის პასუხს წარმოადგენდა.

განსაკუთრებით ძლიერი იყო მოძრაობა ცენტრალურ შენაღდავიან ოლქში—ვოლგას შტაბში, უკრაინაში, აგრეთვე ბალტიის შტაბში და საქართველოში. ასე მოექცა ერთ კალაპოტში რევოლუციის სამი ნაკადი, რომელთა შესახებაც ლენინი ამბობდა: „მუშების რევოლუციონური ბრძოლა, გლეხური აჯანყებანი და სახედრო ამბოხებანი“.

ოქტომბერ-დეკემბრის რევოლუციონურმა მოძრაობამ თავის უმაღლეს ძალას მიახწია მოსკოვში დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს.

დეკემბრის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა მთელი რევოლუციის წაგებას. ახალი რევოლუციონური აფეთქების შესაძლებლობა არ მოსპობილა.

ძირითადი დასვენა, რომელიც ლენინმა განიოცა და დეკემბრის აჯანყებიდან, იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლშევიკები, რომლებიც გამოიყენებდნენ დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყების გაცეცილს, შეუდგებოდნენ ახალი იურიშებისათვის საშუალებას.

სხვაგვარად შეფასეს დეკემბერი მენშევიკებმა და ლიბერალებმა. „იარაღისთვის ხელი არ უნდა მოგვეცილა“,—აი რას ამბობდნენ მენშევიკები პლენარის პირით. მენ-

შევიკები ცდილობდნენ დეკემბრის აჯანყებას დამარცხების მთელი პასუხისმგებლობა ბოლშევიკებისათვის მოეხვიათ. ისინი უსაყვედურებდნენ მათ ავანტიურულად შეფასეს დეკემბრის აჯანყება და იბრუნებდნენ ბურჟუაზიას.

რევოლუციონური ტალღის შენელებამ, პირველი სათათბიროს მოწვევამ და მისმა მუშაობამ აუცილებელი გახადა ბრძოლის ახალი ტაქტიკის და ლოზუნგის შენელება. სათათბიროს აქტიური ბოიკოტი იყო ბრძოლის ახალი ფორმა, რასაც მოითხოვდა რევოლუციონური ალტყინება. პირველი სათათბიროს გარეკის შემდეგ ასეთი ალტყინება აღარ იყო. ბრძოლა კონსტიტუციონური ილიუზებთან ახლა შეიძლება თვით სათათბიროში გადატანილიყო. ბოლშევიკებმა წინადადება შეიტანეს—მოაწილონ მთელით მეორე სათათბიროში.

მენშევიკების ოპორტუნისტულმა მერყეობამ, სათათბიროს ს.დ. ფრაქციის დაქანებამ კადეტურ ლიანდაგზე და ბოლშევიკების მტკიცე რევოლუციონურმა რაზმმა ძალები მთლიან პარტიაში ბოლშევიკების მხრისკენ გადააჯგუფა.


დეკემბრის აჯანყების დამარცხებამ, რევოლუციონური ტალღის თანდათან შენელებამ გამოიწვია სხვადასხვაგვარი მერყეობა. ქანობა, დაკემულობის განწყობილებანი. აგრეთვე აშკარა დეზერტირობა და რენეგატობა, განსაკუთრებით ს.დ. ინტელიგენციის რიგებში, რომლის მენშევიკური წარმომადგენლებიც პარტიული კრიზისის გადაჭრას ეძებდნენ „მუშათა ყრილობაში“ და პარტიის მიერ რევოლუციონური ლოზუნგების, რევოლუციონური სტრატეგიის და ტაქტიკის უარყოფაში.

ამ ლიკვიდატორული ტენდენციის შესახებ ლენინი სწერდა:

„მუშათა უპარტიო ყრილობა საქმით გამოხატავს პროლეტარიატის კლასობრივი თვითმოქმედების კაპიტალისტური შენელების ტენდენციას და მის დაქვემდებარებას ბურჟუაზიისათვის“.

„მუშათა კრილობის“ მოწვევის იდეას ხელი ჩასჭიდა ყველა ოპორტუნისტულმა ელემენტმა მუშათა მოძრაობაში, ლიბერალურმა პოლიტიკოსებმა და აგრეთვე კონტრ რევოლუციონურმა ელემენტებმა მუშათა კლასში, ზუსტად ყრილობის მოწვევის იდეას მხარს უჭერდა ტროცკიც.

პროლეტარული რევოლუციის შემდეგ ამავე იდეას ყოველთვის ცბლუტებოდნენ ის ელემენტები ჩვენს პარტიაში, რომელთაც ვერ გაიგეს ბოლშევიკური ორგანიზაციული პრინციპები. ამ აზრს უჩინადა იცავდა ტროცკი, რომელიც ყოველთვის უზრუნდებოდა მის მთელი თავისი ანტიპარტიული ბრძოლის დროს და „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ჯგუფიც, აგრეთვე მუშათა ოპოზიცია, ლენინგრადის ოპოზიცია, რომელიც 1925 წლის განმავლობაში მოითხოვდა: „მივალწოთ იმას, რომ უახ-



ტრამვაის მუშათა ახალი სახლი.

ლოეს წელს ორჯანიზაციის შემადგენლობაში 80-90 პროცენტს მუშები შეადგენდნენ. ამ მაჩვენებლის ავანგარდს და მასს შორის, პარტიას და კლასს შორის, ესვდებოდა თანამედროვე მქარავენი ოპოზიციის თეორიებშიც.


1905 წლის რევოლუციის და შემდგომი წლების პროცესში ბოლშევიკებმა შესძლეს ანომალურად ექსტრემული მენშევიზმის ოპორტუნისტული ბუნება. ამ მხრივ ლენინის გეგმამ მთლიანი ფრონტის ტაქტიკის გამოყენების საქმეში საგრძნობლად გაამდიდრა რუსეთის და საერთაშორისო პროლეტარიატის გამოცდილება.

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. პროლეტარიატის არასაკმარისი პოლიტიკური სიმწიფე, არასაკმარისი პროლეტარული ხელმძღვანელობა გლეხობის (რაც გამოიყვანდა ნაწილობრივ პროლეტარული და მისკან ჩამორჩენილი გლეხური ტაღის შეუთანხმებლობაში) ცარიზმისთვის დახმარების გაწევა უცხოეთის ბურჟუაზიის მიერ (საფრანგეთის ბიურჟუაზიამ დახმარება თვითმპყრობელობას, რადგან მასში ხედავდა ევროპის უნდარის პროლეტარული რევოლუციის ზრდასთან ბრძოლაში). — ყველაფერი ეს თვალსაჩინოდ ახასიათებს რევოლუციის დამარცხების მიზეზს. 1905 წლის რევოლუციამ ვერ გადასჭრა ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები, მაგრამ მის გამოცდილებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

„1905 წლის რევოლუციაში, — სწერდა ლენინი, — ყველა კლასი აშკარად გამოვიდა და მათ დაგვანახვეს თავი საქმეში, გამოამყვანეს: რაა მათი ნამდვილი მიზნები, რისთვის შეუძლიათ მათ ბრძოლა და რამდენად ძლიერად, ენერგიით და შეუპოვრად შეუძლიათ ბრძოლა“.

ამ რევოლუციამ დაგვანახვა, რომ გლეხობის ფართო მასის მხოლოდ პროლეტარიატმა ხელმძღვანელობით შეუძლია გამარჯვება. 1905 წლის რევოლუციამ ერთი გაკვეთილი კიდევ მოგვცა: მან მოგვცა რევოლუციაში ორი ტაქტიკის შემოწმების საშუალება და დანახვა პროლეტარიატს და ფართო მშრომელ მასას, რომ მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას, მთლიან, მონოლიტურ რევოლუციონურ პარტიას, შეუძლია გაუძღვეს პროლეტარიატს სოციალიზმის დასაპყრობად. 1905 წლის რევოლუციის პროცესში რუსეთის პროლეტარიატმა ბოლშევიკები წამოაყენა, როგორც თავისი ავანგარდი, როგორც რეაქციისა და ომის წლებიდან პროლეტარიატი მიიყვანა ოქტომბრის გამარჯვებამდე და ამით უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლიერად მოსილი მყენებლობა აი ამიტომ უწოდებდა ლენინი 1905 წლის რევოლუციას „1917 წლის რევოლუციის გენქარალურ რეპეტიციას“.

მაგრამ 1905 წელს აქვს ხასიათის საერთაშორისო მნიშვნელობაც; იმ მხრივ, რომ „ისტორიულად აუცილებელია საერთაშორისო მასშტაბით იმის განმეორება, რაც



1905 წ. აჯანყების მონაწილე — დამკვრელი მუშა.



ქართ. მთიელთა საზოგადოების კრების სკოლა.

ჩვენში მოხდა“ (ლენინი), იმ მხრივ, რომ 1905 წლის რევოლუციის ცნობილი ელემენტები შემადგენელ ნაწილებად უფლიან საერთაშორისო რევოლუციაში, განსაკუთრებით ეროვნულ - განმათავისუფლებელ რევოლუციაში, ეს აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც ლენინის მოძღვრება პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციონურ - დემოკრატიული დიქტატურის შესახებ, მისი მოძღვრება იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია გადაიქცევა სოციალისტურ რევოლუციად. — შევიდა კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამაში, ამან თავი იჩინა კომინტერნის ლენინურ ხელმძღვანელობაში რევოლუციონური პროლეტარიატისა და აღმოსავლეთის კოლონიალურ და ნახევარ-კოლონიალურ მშრომელთა საერთაშორისო ბრძოლაში.

და აი ამ მხრივაც 1905 წლის რევოლუციას შეგვიძლია ვუწოდოთ „საერთაშორისო რევოლუციის „გენერალური რეპეტიცია“.

მით უმეტეს დიდი მნიშვნელობა ეძლევა 1905 წლის რევოლუციის, მისი გაკვეთილისა და გამოცდილების შესწავლის მასში, როცა კოლონიების საერთაშორისო პროლეტარიატი და დაბეჭავებული გლეხური მასები ეშხადებიან კაპიტალიზმთან გარდამწყვეტი ბრძოლისათვის. ბოლშევიზმის ბრძოლის გამოცდილება მენშევიზმთან, ბურჟუაზიის ამ ავანტურასთან მუშათა კლასში, მთაუმი-

ტეს დიდი ყურადღებით უნდა შევისწავლოთ დღეს, როცა საერთაშორისო ბურჟუაზია აშხადებს ახალ ომს, ახალ ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და იმდს ამყარებს დეზორჯანიზაციას, სოციალ - ფაშისტების ხელით პროლეტარიატის განიარაღებაზე, როცა მეორე ინტერნაციონალის პარტიებს, კერძოდ მენშევიკებს — აბაზოვიჩებს, სუხანოვეებს და გომანებს — მთლიანი ბლოკი აქვთ შევსებული მნიშვნელობის ამ აშკარა ავანტურებთან, ინტერვენციის ამ აშკარა ავანტურებთან.

1905 წლის რევოლუციის შესწავლას ახალგაზრდობის მიერ, იმის შესწავლას, თუ როგორ იბრძოდა ლენინი პარტიისათვის, როგორ ებრძოდა იგი შემარბელობას, ოპორტუნისმს და ყველა იმას, ვისაც უნდა ბოლშევიკებზე „მეზარცენე“ იყოს. — მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა კლასობრივი მტრის შეგავლენა ჩვენი პარტიის არამტკიცე ელემენტებში იწვევს რყევასა და გადახრებს.

რუსეთის პირველი რევოლუციის აღბილეს ზეიმმა ხელი უნდა შეუწყოს ძმური პარტიების უფრო მეტ ბოლშევიზაციას, მათ მობილოზაციას ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, სოციალიზმის ნამდვილი ბუნების გამომუთავანებას და ჩვენი პროლეტარული ახალგაზრდობის ბოლშევიკურ ატზრდას. (საკ. ცუკას თეზისებიდან).

ლიახვისპირა პატარა სოფელში ჩამომხ...

გაქცევად მუდამ მწა შეკაშმული ცხე...

— აქა ყველა ჩვენები? — იკითხა გიორგი...

— არა, ირაკლი და ტირმისელი სტუ...

— აბა, ირაკლის ამბავი ხომ იციო, სად...

— აქ განჯავარ, კნიაზო! — წარუდგა შე...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— ჰმი! — ბევრმა ითაკილა, შესახედა...

— ყმაწვილებო, მართალია, გულადნი...

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ბრძა...

— კარგი აზრია, — აბა, ცხენებზე! — გასცა ბრძანება გი...

— კი, მარა ცხენები რომ არ გვეყოფა?...

— მაინც არ გვეყ... — ველარ დაასრულა,

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...


— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!



სას. სამ. მანქანების შეკეთება.

— ჰმი, იმ ოხერს აქაც არ ავიწყდება ღვი...

— მომიცადეთ! — ამოდ და ყვიროდა ირა...

— ფუ, თქვენს კეთილშობილებას!!! — გადაფურთხა...

— ვინა? მე? ვის უბედავ? — გაჭირვებულა...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...

— აბა, დაჰკა დაფი! — დრახ, დრახ, დრახ!

— თან კრავს აზნაური დოღს, თან ეხვეწება გაუ...



ღაიფყო ბამბისთვის გუაღებუ

მეურნეობის დარგთა შორის მეტად ძვირფასია მებაძმეობა. ის არის საფეიქრო მრეწველობის განვითარების ძირითადი საფუძველი.

თუ ბამბის ნედლეული მცარეა, ცხადია, საფეიქრო მრეწველობას არ ექნება გასაქანი. ის ვერ შესძლებს მშრომელი მასების დაქმნა-ფილებას, ამიტომ არის, რომ პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მებაძმეობის განვითარებას. ამ საქმისთვის აუარებელი თანხები გადადებული. ბამბის რაიონები დროზე იქნებიან მომარაგებული სასრეწველო საქონლით, სათესლე მასალით. მუშა - საქონლით, მანქანა - იარაღებით და სხვა საჭირო საგნებით. მაგრამ არ კმარა მარტო მთავრობის ღონისძიებანი, საჭიროა ამ ღონისძიებათა თავის დროზე განხორციელება, მათი მიზანშეწონილად გამოყენება.

მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში ბამბის ნათესების ფართობი სავრძობლად გაიზარდა.

მარტო საქართველოში ამ გაზაფხულზე დაითესა ბამბა 11.324 ჰექტარზე, ე. ი. ბამბის ნათესების ფართობი გასულ წელთან შედარებით 83 პროცენტით გაიზარდა.

მებაძმეობა გაფართოვდება უმთავრესად კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან სუსტად მიმდინარეობს მთელ საბჭოთა კავშირში ბამბის თესვისათვის სამზადისი. ასეთსავე დასკვნამდე მივიდა საკავშირო კომპარტიის ბრავადა, რომელმაც გამოარკვია ეს საქმე.

ეს აღნიშნა ა. კავკასიის საოლქო კომიტეტმაც. რომლის დადგენილებაში ნათქვამია, რომ წინასწარი სამზადისი ბამბის თესვისათვის ნელი ტემპით წარმოებს.

ეს გვავალბებს გავამახვილოთ მთელი ჩვენი ყურადღება ბამბის თესვის კამპანიის გარშემო: ავამოძრაოთ

ყველა ჩვენი ორგანიზაცია ამ საკითხის გარშემო. გავაცნოთ დარიბ და საშუალო გლეხობას ბამბის თესვის გეგმა და მთავრობის ღონისძიებანი.

ყოველმა კომკავშირელმა, ყოველმა პიონერმა და ოქტომბრელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ მეტად მნიშვნელოვანი კამპანიის ჩატარებაში.

აუცილებლად საჭიროა ამ საქმის წარმატებით დამთავრებისათვის სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვერლობის გაფართოება. ეს მეთოდები უნდა გაფართოვდეს არა მარტო კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, არამედ კერძო მეურნეთა შორისაც.

პიონერებო და ოქტომბრელებო! თქვენ ამ შემთხვევაშიაც გვერდში უნდა ამოუდგეთ პარტიას, თითოეულ კოლმეურნეს, დარიბ და საშუალო გლეხობას. მათთან ერთად თქვენც არ უნდა დაიზოგოთ თავი ბამბის თესვისა და დამზადების საქმისათვის.

ამას გავალბებთ 5 წლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულებას, რისთვისაც მუდამ მზად უნდა იყოთ.

ბიორგი შატბეკაშვილი

● ბამბის მინდვრებზე ●

ქონხახებიდან გამოვალთ დილით გულანთებულნი და მოხარულნი. ვეღებზე ჯერ არ ამშრალა ჩრდილი, და ჰაერს არხევს ჩვენი ხმაური...

თავზე გვაღვია ზეცა კრილა და ფეხებზე ყრია თეთრი ვილები. გულზე ხალისმა გადგრაილა, და ბამბის ბუჩქებს თავზე ვეფლებით... სეჯავ: სივრცეში გაშლილ შიდაშოს, ბამბის მინდვრები მოჩანს თოვლივით, აქაურ მიწის ყველა მტკაველი კომუნართაგან არის მოვლილი.

ჩვენ ამ შრომაში არ ვიცით მოღლა, და მზე არ არის ჯერ გადასული, როცა გულადან აიტანა მღლა სიხარულს ხნები ახალგაზრდული... აქ მუშაობენ მზიან ხალისით პიონერების მარდი გუნდები, და როცა ღამის წამოვა ნისლი, — ქონხახებისკენ მღერივ ვბრუნდებით...

გვახალისებენ გლეხები თათრის და ისმის მათი ძახილი — „სალოო“. ჩვენი ბრიგადა დგება თვალნათლივ, როცა მოგორავს ნზე მთების ახლოს... ვარჩევთ ბოჭკოებს ნორჩი ხელებით ჩვენთან ყველა თვალეპზიანი. ასე გვაზარებს საერთო ღებნა და შრომის შემდეგ მოღლის ზრიალი...

თვალებს აწვება ტალღა ხალისის, ნორჩი გულების აგუგუნებით, როცა ბინდ-ბუნდის წამოვა ნისლი. — ქონხახებისკენ ღებნით ვბრუნდებით...



ვაკის საბავშვო სახლი — ბავშვთა ცხოვრება.

5-წლიის მე-3 წელი

ს-გმ

ღიად სამუშაოთა პროგრამა

მუშათა კლასის გამოვლილ სოციალისტურ-ში მტყევა, ლენინური კონსტრუქციის პარტიის ხელმძღვანელობით, უკვე ხუთწლიური მესამე წელში გადადის. პირველმა ორმა წელმა და განსაკუთრებულმა კვარტალმა პოვევა დამატაცივებული მავალით ათა მართო 5 წლიანი გეგმის რეალობის და გათვალისწინებულ გეგმიან დასახვათა შესრულების, არამედ მოკლე ხანში მათი გადაჭარბებისაც.

ლოზუნგი „ხუთწლიდი ოთხ წელში“ მუშათა კლასის მიერ ნაძვილიად ხორციელდება ელექტრიფიკაციის სამავალიო ჩქარი ტეძებით და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციით.

მავებელთა კონტრ-რევიოლიუციონური მუშაოა და მათი წინასწარმეტყველური თეორიება, რომლებიც სოცურეობის უკან სვლაზე დაღაღებდენ და ცდილობენ ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდის შეჩერებას ჩვენი პარტიის მიერ უკუვადებულ იქნა, თუმცა ოპორტუნისტებმა სასტიკი წინააღმდეგობა ვავციოეს. მათ პოზიციებს უკანასკნელად დააღვა ოობიო მენსოჯვეხე „შემარცხენე“ ბლოკი, სირკოვ-ლომინაძის მეთაურობით; დაუბედავად აისა ჩეხე გევეს ზრდის თანდათან მოზარდი ტეძები, რაც ყოველივე ნიადაგს აცლის ჩვენ მტრება. მიჰყავს სასოწარკვეთილებამდე; მათი სულისკვეთების გამომხატველი არიან ყოველი ჯურის ოპორტუნისტები ჩვენს ქვეყანაში.

საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ვაერთიანებულმა პლენუმმა განიხილა მეოქვემეტე პარტიკულობის მიერ დასახული ამოცანების შესრულების გეგმები მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მუშათა მომარაგების გაუმჯობესების და პროლეტარიატის დიქტატურის გამამაგოებელი ორგანოების—საბკოების—მუშაობის დრაგში.

გამოქვეყნებული რეზოლიუციები ნათლად ჰოწმობს იმ დიადი საკითხების პროგრამის დასახვას, რომელსაც ითვალისწინებს ჩვენი პარტია და მიეღი მშობრელი მასება. 1931 წლისათვის, პლენუმმა შეაჯამა ხუთწლიდის მეორე წლის შედეგები რამაც ნათლად დაამტკიცა დედამიწის ერთ მეექვსედეზე სოციალიზმის ზრდის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, იმ დროს, როცა დედამიწის დანარჩენ ხუთ მეექვსედ ნაწილზე გაძეგებულია სასტიკი ეკონომიური კრახისი.

როცა ევროპის მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების და ამერიკის სამრეწველო პროდუქტამ 1930 წლის კვარტალებში დაიკლო 1929 წელთან შედარებით (ინვალსში—8.4 პროცენტით, ევროპაში—12 პროცენტით, პოლონეთში—18 პროც., და ამერიკაში—17.8 პროცენტით), ამ დროს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქტია გაიზარდა 1929-30 წლებში, 25 პროცენტით, წინა წლებთან შედარებით, და 5 პროცენტის გადამეტებით შესრულდა 5 წლიანი გეგმა. რამაც ორჯერ გადაამეტა ომის წინა დროინდელ წლიურ ნაწარმოებთა ჯამს.

5-წლიდის მესამე წლისათვის (1931 წელს) გათვალისწინებულია ინდუსტრიისა და ელექტროფიკაციის საკეში 7.400 მილიონის დაზანდება, რომ საერთო პროდუქტია გაიზარდოს 1931 წელს 45 პროცენტით. კოლმეურნეობაში 1930 წლის 1 დეკემბრისათვის გევედა გაერთიანებული გლეხობის 24 პროცენტი და მარცვლეულობის რაიონებში—49 პროცენტი;—საერთო ფართობმა ორჯერ გადაამეტა 1933 წლისათვის გათვალისწინებულ გეგმას.


სოფლის განსაზოვადებელი სექტორის საქონლის პროდუქტია მიეღი სასოფლო მეურნეობის ნახევარს შეადგენს, რაც ორჯერ მეტია 1933 წლისათვის გათვალისწინებულ გეგმაზე.

საკონტროლო ცივრები ითვალისწინებს მსხვილდება საქონლის რიცხვის აყვანას 2.8 მილიონამდე, მელიორეობის—1.9 მილიონამდე, მეცხვარეობის—4.4 მილიონამდე, რაც ამყარად გვიჩვენებს 1931 წლისათვის სასოფლო მეურნეობის ყველა ფრონტზე სოციალისტური შეტევით წინსვლას.

ეს განადიოხული გეგმა, რომელიც პლენუმმა დასახ მომავალი წლისათვის, და უკვე მიღწეული წარმატებანი,—წარმოადგენს კლასიურ მტრის განადგურებას და პირველ რეგში მემარჯვენეების და აგრეთვე „მომემარცხენო“ ოპორტუნისტული აგენტურის ვაკოტრებას.

ამიტომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანა—თითოეული კომკავშირელი, თითოეული პიონერი და მიეღი კოლექტივები და ორგანიზაციები დაიზომონ პარტიის გენერალური ხაზის გარშემო, შეისწავლონ პლენუმის დადგენილებანი პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ცოდნით შეიარაღებულნი, სოცშეჯიბრის და დამცველობის უაღრეს საფეხურზე აყვანით ჩაებან ენერგიულად 5-წლიდის მესამე წლის გეგმის წარმატებით შესასრულებელ მუშაობაში.

მეტი სიმტკიცე და ბოლშევიკური შეურიაგბელი ბოძოლა ყოველგვარი მემარჯვენე და „მომემარცხენო“ გადახრის წინააღმდეგ, მეტი ენერგია, ცოდნა და კლასიური გაიზომბმედილობა სოციალიზმის მშენებლობის გეგმის შესასრულებლად!



პირველი მე-3 დამკვირვებელი წლის ენერგიაში:

გმირები



1919 წლის 15 იანვარს გერმანიის სოციალ - დემოკრატია, ნოსკესა და შეიდემანის ხელმძღვანელობით, ვერაგულად მოჰკლა გერმანიის პროლეტარული რევოლუციის სახელმძღვანელო ხელმძღვანელები.

გერმანიის ბურჟუაზიამ, რომელიც მუდამ მზად არის იმისათვის, რომ შესვას მუშათა კლასის სისხლი, კარგად იცოდა, თუ რას აკეთებდა.

გერმანიის სოციალ - დემოკრატია ბურჟუაზიის კარნახით სიცოცხლე მოუსპო კარლ ლიბკნეხტს და როზა ლიუქსენბურგს. ამით ის პროლეტარული რევოლუციის თავის მოკვეთას ცდილობდა.

კ. ლიბკნეხტი და რ. ლიუქსენბურგი ის გმირები იყვნენ, რომლებიც მთელი თავისი ენერგიით იბრძოდნენ მუშათა კლასის კეთილდღეობისათვის. ეს არ დარჩა შეუმჩნეველი მუშათა კლასის სისხლის მხმელ ბურჟუაზიას, და მან ეს ორი გმირი აწამა.

კ. ლიბკნეხტი მოლაღატე პარტიას ასე უპასუხებდა: „მე ვემორჩილები უმძაღლეს დისციპლინას, პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დისციპლინას“ და იგი ბოლომდე ამ გზას ადგა.

დღეს კაპიტალისტური ქვეყნები საშინელ ეკონომიურ კრიზისს განიცდიან. ეს არის კაპიტალისტური სისტემის, კაპიტალისტური ურთიერთობის კრიზისი. კაპიტალისტური სისტემის ეკონომიური კრიზისი უკვე პოლიტიკური კრიზისის ხასიათს იღებს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევრობა დღითიდღე მატულობს და, გერმანიის კაპიტალისტური წრეების აზრით, ჯერ - ჯერობით მდგომარეობის გამოსწორების არავითარი იმედი არ არის. ერთი მეექვსედი გერმანიის მუშებისა, წარმოების გარეშაა. უმუშევართა რიცხვი გერმანიაში რამდენიმე მილიონს უდრის.

მშრომელთა ფართო მასების სილატაკემ გერმანიაში უმწვერვალეს წერტილამდე მიადწია. შიმშილი, სიცივე, ბინების უქონლობა და ხელფასის მასიური შემცირება საშინელ მდგომარეობაში აყენებს გერმანიის პროლეტარიატს.

დღეს საერთაშორისო პროლეტარიატი გერმანიის პროლეტარიატთან ერთად გლოვობს კ. ლიბკნეხტის და, რ. ლიუქსენბურგის დაკარგვას.

დღეს საერთაშორისო პროლეტარიატი გერმანიის პროლეტარიატთან ერთად გამოდის ქუჩაში ლოზუნგით: „შური ვიძიოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ კ. ლიბკნეხტის და რ. ლიუქსენ-

ამს. კარლ ლიბკნეხტი



ბურგის მოკვლის გამო“! ლოზუნგით: „კლასი კლასის წინააღმდეგ“!

კ. ლიბკნეხტი და რ. ლიუქსენბურგი მსოფლიოს მშრომელ მასების საყვარელი სახელებია.

მაშინ, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატია ვუმბეში ამოსვარა პროლეტარული წითელი დროშა, ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობა, დაასამარა სოციალიზმის იდეა და სანგრებში გარეკა მუშები, მაშინ, როცა სამშობლოს დაცვას გაიძახოდნენ მეორე ინტერნაციონალის ბელადები, — მაშინ კ. ლიბკნეხტმა და რ. ლიუქსენბურგმა მამაცურად, გმირულად ააფრიალეს პროლეტარული წითელი დროშა და მით იხსნეს ინტერნაციონალური სოციალიზმი.

1914 წელს, 4 აგვისტოს, გერმანიის სოციალ - დემოკრატია მისცა 5 მილიარდი მარკა გერმანიის ბურჟუაზიას ომის საწარმოებლად.

იმავ დღეს, 4 აგვისტოს, საფრანგეთის სოციალ - დემოკრატია მისცა საფრანგეთის ბურჟუაზიას 5 მილიარდი ფრანკი ომის საწარმოებლად.

აი, ასე ამახადებდა გერმანიის სოციალ - დემოკრატია მსოფლიო მუშათა კლასის სასაკლაოს.

რ. ლიუქსენბურგი ამის შესახებ სწერდა: „გერმანიის სოციალ - დემოკრატია 1914 წლის 4 აგვისტოს შემდეგ აყროლებულ ლეშს წარმოადგენს“;

ეს სწორი იყო როგორც გერმანიის, ისე სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატის მიმართ. ეს იყო რ. ლიუქ-

სენბურგის სწორი და გაბედული განცხადება იმპერიალისტური ომის დასაწყისში. კ. ლიბკნეხტი და რ. ლიუქსენბურგი — ეს ორი გმირი, გერმანიის მუშათა კლასის საუკეთესო ბელადებია

1916 წელს, პირველ მაისს, შუაგულ ბერლინში, პონჩამერ-პლაცზე, კ. ლიბკნეხტმა მოაწყო გრანდიოზული დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ, რისთვისაც ის ექვსი წლით გაგზავნა კატორღაში გერმანიის ბურჟუაზიამ.

1919 წლის 15 იანვარს კი გერმანიის ბურჟუაზიამ ვერაგულად მოჰკლა ეს ორი გმირი.

ჩვენ მათ საქმეს ბოლომდე განვაგრძობთ. მსოფლიო პროლეტარიატი გერმანიის პროლეტარიატთან ერთად მოიგონებს რა კ. ლიბკნეხტს და რ. ლიუქსენბურგს, ერთხელ კიდევ იტყვის მსოფლიო ბურჟუაზიის და მტაცებლების საყურადღებოდ: უკვე დამდგარია თქვენი აღსასრულის დღე!

რ. ლიუქსენბურგის წერილი ციხიდან კ. ლიბკნეხტის ცოლისადმი.

1917 წ. 2 მაისი.

მე რას ვკითხულობ? უმთავრესად ბუნებისმეტყველებას. გულში წავიკითხე აგრეთვე მგალობელი ფრინველების გერმანიაში მოსპობის შესახებ. ამის მიზეზია მავრის ეროვნული მტყულება, მებადლობა და მიწადმოქმედება, რომელნიც ნელ-ნელა სპობენ ფრინველების საზრდობისა და ბუდობისათვის საჭირო ყველა ბუნებრივ პირობას.

თქვენ იცით, რომ მე მაინც ვიმედოვნებ მოვცდებ „სადარაჯოზე“ ქუჩის ბროლაში, ან საკატორღო ციხეში.

თქვენი როზა.



ახს. როჯა სეფიძის ფოტო

„ძვირფასო ბოზი!

არ ვიცი, კიდევ როდის შეგძლებ წერილის მოწერას. შეიძლება, მოვანერხო და საჩქაროდ მოგწეროთ რამდენიმე სტრიქონი; მე ხომ ოქში ვარ.

ზარბაზნები რიგასთან საშინლად გრიალებს. ჰაერში მალა დაფრინავენ და ბზუნიან აერობლანები, უფრო დაბლა კი ჩვენ თავს დავგვტრიალებს და დავგვჩხავის ყვავების უზარმაზარი გროვა. ამ საძაგელქმნილებს აქ ზვერი აქეთ გამოსარჩენი. მე გაიბობდით ბევრს საწაწაბრო და სერიოზულ ანბანს, იმის შესახებ, თუ რა ხდება აქ, მაგრამ დრო არ იცდის... ძვირფასო ბოზიკ და, ყველა თქვენ, ჩემო შეილებო, ჰელმიხენ და მერა. კიდევ გიმეორებო: იყავით ბეჯითი, გამგონნი და თამამად გაიკაფედ გზა ცხოვრებაში, არ გადაუხვიოთ სწორ გზას, მუდამ წინ იარეთ სწორი გზით, როგორც გინდა იყოს ის, ადვილი თუ ძნელი.

ფიქრით იმის შესახებ, თუ რა საშინელ დროს განვიცდით, ახლა დიდი გამძლეობა სჭირდება ადამიანს.

მე მუდამ თქვენზე ვფიქრობ. ძალიან მიწნდა, რომ ძლიერი გავხადოთ, თქვენი ცხოვრება მზის სინათლით ავაგსო.

მე თქვენ მიყვარხართ ისე, როგორც არც ერთ მამას არ უყვარს თავისი შეილები თქვენ ეს უნდა იცოდეთ და გჯეროდესთ. მე ისევე მოშორებული ვარ ოჯახს. მომენდეთ ისე, როგორც საყუთარ თავს... როდესაც ადამიანი თვითკმაყოფილებას განიცდის და მედიტაობს, — ეს უბედურებაა, ასეთი თვისებები სულელად გვხვდის. ნუ დაივიწყებთ ამას. ვისაც სურს საყუთარი თავის რწმენა ჰქონდეს, უნდა იმუშაოს, რამდენადაც ამის ძალა შექნის. საქმიანი კაცი უნდა იყოს, მაღალი და კეთილშობილი მისწრაფება უნდა ჰქონდეს.

იბედი მაქვს, რომ თქვენ არ დაჰკარგავთ მამას უფრო ადრე, ვიდრე ბუდიდან ამოფრინდებით. გყოცნით, საყვარელო შეილებო, მრავალჯერ.

თქვენი მამა.

ა. ლიბანების წერილები ზვილბი-სადმი

„ძვირფასო ბოზ. შენმა წერილმა ძალზე გამახარა; მხოლოდ პაპიროსის წვეის და ბანაობის შესახებ ძალზე დამაფიქრა. პაპიროსი თქვენთვის პატარებისთვის მავნებელია. წყალთან კი ზღმრობა არ შეიძლება. მოიგონე ვანის ტუპა და ქვერეთვე ზღვის სხვა მსხვერპლი... თქვენ იქნებით დინჯი, გამგონე და მხიარულნი... ამინდი აქ ცივია და წვიმიანი. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ ჯანმრთელად ხართ. როდის ჩამოვალ, — ჩამოვალ თუ არა, ესეც საკითხია, — გამოუტყვეველია... გოცენი ბევოს.

თქვენი მამა.

ა კ რ უ რ ვ ი ს

სცნობდენ თუ არა ისინი თავს დამნაშავედ?

- ჩვენ არ მოგვიკლავს!
- ჩვენ რას ვგვრჩით?
- ჩვენ ამის არაფერი ვიცით, — აცხადებდენ ისინი.

ამ საზიზღარ საქმეს რომ აწვობდენ, ეგონათ, რომ ეს საქმე „ჩაივლიდა“; სასამართლოს წინაშე მათ სხვადასხვა ხრიკს მიმართეს სასჯელის შესამსუბუქებლად. როდესაც სასამართლო ბრალდებულ მოსესოვს შეეკითხა:

თუ რატომ ადრევე არავისთვის უთქვამს ამაზე არაფერი, მან უპასუხა:

— გამომძიებელმა ისეთი თვალეზით გადმოიმხედა, რომ მე თქმის შემეშინდაო.

მთელი რიგი მოწმეების დაკითხვით მათი საქმე თავიდან ბოლომდე გამოირკვა:

გამომძიებელ აგასაროვს მსჯავრდადებულმა მინასიანცმა დაწვრილებით უამბო, თუ როგორ აწამეს პიონერი აკოპოვი, იმისათვის, რომ მან ამხილა სპეკულიანტი ნიკოლაევი.

სპეკულიანტი ნიკოლაევის საქმის გარჩევის შემდეგ, აი რა უამბო სასამართლოს მსჯავრდადებულმა მინასიანცმა: „ჩვენ შევგროვდით ალექსანდრე არამიანცის სახლში და იქ გადავწყვიტეთ პიონერ აკოპოვის მოკვლა. აკოპოვის სიცოცხლის გამოხალმება ჩვენთვის არ იყო ძნელი,

ა. გველსიანი

პ ი რ ნ ე რ

აზერბეიჯანის უზენაესი სასამართლოს გამსვლელი სესია 8 დღის განმავლობაში არჩევდა პიონერ აკოპოვის მკვლელობა საქმეს.

რევოლუციონერმა კანონიერებამ 8 დღის განმავლობაში ვრცლად გადამოშალა ის სურათი, რომელიც შეიქმნა ნორჩი ლენინელის — გრიშა აკოპოვის საზიზღარი მკვლელობით.

საბრალმდებლო სკამზე ისხდენ: ალექსანდრე არამიანცი, მოსესოვი და მინასიანცი. ამ სამ ადამიანში აშკარად ჩანდა ჩვენი დაუძინებელი მტრის შურისძიება.

ბრალდებულებმა განიზრახეს საქმის შინაარსის დამალვა, მაგრამ პროლეტარულმა მართლმსაჯულებამ მათ სასტიკი განაჩენი გამოუტანა.

ისინი ქუდმოხდილი ისხდენ და უარს აცხადებდენ სასამართლოს შეკითხვაზე.

მ კ ვ ლ ე ლ ე ბ ი

რადგან ის ჩვენ მეზობლად ცხოვრობდა“.

ამ საქმის საფუძვლიანად გარჩევას რვა დღე დაჭირდა, ოც მოწმეზე მეტი იყო გამოწვეული.

გრიშა აკოპოვის მკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ააბკოთა კავშირის პიონერორგანიზაციებს შორის, ნორჩი თაობა ერთხმად მოითხოვდა ამ საზიზღარი საქმის მომწეობა სასტიკად დასჯას.

პროლეტარულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო საბჭოთა კავშირის პიონერორგანიზაციის ეს სასამართლიანი მოთხოვნა და მსჯავრდადებულთ საკადრისი პასუხი გასცა.

პიონერ - აქტივისტ გრიშა აკოპოვის მკვლელებს მიესაჯათ: მინასიანცს — 8 წლის ციხე, მოსესოვს — 10, წლის, ხოლო ალექსანდრე არამიანცს — სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.

ამხ. ბორის ძაღლაძე

„ნამდვილი ლეგალური ყრილობა საქ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა გაიხსნება იქ, სადაც ზეიმობს დღეს დამფუძნებელი კრება“.

(ამხ. ბ. ძაღლაძის უკანასკნელი სიტყვები, რამიშვილის მიერ 1920 წლის 26 აგვისტოს გარეკელ ჩვენი კავშირის ყრილობაზე წარმოთქმული).

ბორისი დაიბადა ქ. გორში 1900 წლის 19 აგვისტოს, სამი წლის შემდეგ მისი მშობლები ხაშურში გადავიდნენ. პირველდაწყებითი სწავლა მას დამ მიაღებინა, შემდეგ განაგრძობდა სწავლას ხაშურში, მაშინდელ ახლადგახსნილ გიმნაზიაში. მამის ავადმყოფობის გამო, მთელი ოჯახი იძულებული გახდა გურიაში, სოფელ ბურნათში (ეხლანდელ კოხნარში) გადასახლებულიყო. იქ მამა გარდაეცვალა. სოფელში ბორისი და მისი უფროსი ძმა დარჩა საცხოვრებლად. მამის სიკვდილის შემდეგ ბორისი ყოველდღე ექვსი კილომეტრის მანძილზე დადიოდა ჩოხატაურში კერძო მასწავლებელთან და ემზადებოდა სასწავლებელში შესასვლელად. გურიაში ბორისი ორ წელს დარჩა. როდესაც ის 12 წლის შეიქნა, გადმოსახლდნენ სურამში, სადაც მეცადინეობა ბორისისათვის ყოველდღე შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ამისა, ბორისი ძლიერ დაეწაფა სწავლას და მოკიდა ხელი ქართული ლიტერატურის შესწავლას.

სულ მოკლე ხანში მან ისე შეისწავლა ქართველი მწერლები, რომ მას მათ შესახებ გარკვეულ საკუთარი აზრი ქონდა.

სურამში ყოფნის დროს გარდაეცვალა დედა, რამაც ისევ გურიაში დაბრუნება გამოიწვია. ბორისი ისევ ეწეოდა თვითგანვითარებას. მან აქ დაარსა სცენისმოყვარეთა წრე, რომელიც მოგზაურობდა გურიის სხვადასხვა კუთხეში და მართავდა წარმოდგენებს.

1914 წელს ბორისი ტფილისში წამოიყვანეს. იგი აქ სასწავლებელში ვერ მოხვდა, რადგან მეცადინეობა ყველგან დაწყებული იყო. ამიტომ მან 1915 წლის განმავლობაში ვერასფერი ვერ გააკეთა. ამ წელს მას განსაკუთრებით შეუყვარდა ცირკი, ძალზე აინტერესებდა ჰიდაობა, დაიარებოდა ტანთვარჯიშობის და მსროლელთა ჯგუფში და შეისწავლა სამხედრო საქმე.

ამავე წელს ბორისი ძალზე დაინტერესდა პოლიტიკური საკითხებით. მასზე დიდ გავლენას ახდენდა მაშინდელი გაზეთები. სულ მოკლე ხანში

შეითვისა ბორისმა ბევრი რამე და შემდეგ თავისებურად ერკვეოდა პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში.

ამხ. ბორისის შესახებ წერა იმას ნიშნავს, რომ ილაპარაკო საქართველოს კომკავშირის და მისი ისტორიის შესახებ.

მუდამ მებრძოლი, დაუდევარი ტემპერამენტის ბორისი ებმევა რევოლიუციონურ მოძრაობაში და მისი უშუალო ხელმძღვანელობით არსდება ტფილისში საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი უჯრედი.

ბორისი ჯერ კიდე მაშინ იყო რევოლიუციონური ცეცხლით აღსავსე, როდესაც სრულიად ახალგაზრდა იყო და ვინოგრადოვის ტენიკურ სასწავლებელში სწავლობდა.

1917 წელს, როდესაც გადატრიალება მოხდა რუსეთში, ტფილისში ყოველი ფეხის ნაბიჯზე მიტინგები იმართებოდა. ბორისი მუდამ დაუავდათ ამ მიტინგებზე.

თუ კი სადმე მიტინგზე ორატორები ბოლშევიკების წინააღმდეგ ილა-

პარაკებდნენ ბორისი აღელვებული მივარდებოდა ამხანაგებთან და იტყოდა: ერთი ბოლშევიკი არის და ხუთი ესერი, შექამეს, მიეხმარეთ როგორმეო.

ბორისმა 1917 წელს პირველად დაარსა ტფილისში კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი უჯრედი, რომლის ამოცანას შეადგენდა საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის გაერთიანება კომუნისტური დროშის ქვეშ. ბორისი არის ორგანიზატორი ამიერ-კავკასიის და საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის.

ღარიბი გლეხის შვილი, ის მიესწრაფება სწავლის მისაღებად, მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა იტაცებს და მით სწავლის გაგრძელების საშუალება არ ეძლევა.

ამხ. ბორიას, დაწყებული 1917 წლიდან სიკვდილის დღემდე, ფრიალსაპასუხისმგებლო ადგილი ექირა.

ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა და ამიტომ ბორიას მუდამ სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ, მაგრამ 18 წლის ახალგაზ-



ამხ. ბორის ძაღლაძის ძეგლი



რდას გულში ვერ ჩაქრეს რევოლუციონური ცეცხლი, რომელიც დღით-დღე ძლიერდებოდა.

ამხ. ბორიას საშუალება ჰქონდა ერთი წელი ემუშავნა ლეგალურად. ეს არის 1918 წელი. 1919 წელს მას, როგორც ერთ-ერთ გურის დემონსტრაციის ხელმძღვანელს, აპატიმრებენ, მაგრამ იგი ახერხებს განთავისუფლებას და ისევ იწყებს მუშაობას. ბორისის მიერ შექმნილი ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი დღით-დღე ძლიერდებოდა და იზრდებოდა.

1920 წლის აგვისტოში ტფილისში მენშევიკ რამიშვილის ნებართვით მოწვეულ იქნა ყრილობა, მაგრამ იგი მეორე სხდომაზევე გარეკეს. ამ ყრილობაზე, გარეკის დროს, ამხ. ბორიამ შემდეგი სიტყვა: „ნამდვილი ლეგალური ყრილობა საქ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა გაიხსნება

იქ, სადაც ზეიმობს დღეს დამფუძნებელი ყრება“.

და ეს აღსრულდა კიდევ. ყრილობის ყოველ დღეგაბატს ახსოვდა ბორიას ეს რევოლუციონური სიტყვები. მოხდა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოება, და იმავე წლის 21 აგვისტოს შეიკრიბა საქ. ახალგაზრდათა ნამდვილი ლეგალური ყრილობა იქ, სადაც ერთი წლის წინ ზეიმობდა საზიზღარი დამფუძნებელი კრება. ბორიას წინასწარმეტყველება გამართლდა.

საქ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პირველი ყრილობა 1921 წელს მას კვლავ ირჩევს ცეკას წევრად, ცეკას პლენუმი კი ირჩევს მდივნად. 1922 წელს ამხ. ბორისი შორდება კომკავშირს და პარტიის ცენტრალური კომიტეტი მას ნიშნავს დუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივნად. 1922 წლის თებერვალში, პარტიის

ყრილობის დამთავრების შემდეგ, ცეკას მიერ ამხ. ბორისი იგზავნება სამხედრო სკოლის კომისრად. სადაც ის მუშაობას სიკვდილის სურათს წუთამდე განაგრძობდა.

ბორიამ არ იცოდა რა იყო დალდა. იგი გასტეხა ამდენმა ბრძოლამ. მისი ორგანიზმი დაიქანცა, და 1923 წელს სამუდამოდ შესწყდა ამხ. ბორიას მავის ცემა.

მოკვდა ბორია, მაგრამ ყოველი კომკავშირელის გულში ცოცხლობს მისი საქმიანობა.

ბორია საქართველოს კომკავშირის პირველი დამაარსებელია, და საქართველოს კომკავშირის ასიათასიანმა ორგანიზაციამ, თავის მე-10 ყრილობასთან დაკავშირებით, 26 დეკემბერს გახსნა ამხ. ბორის ძნელადძის ძეგლი. ეს ის ძეგლია, რომელიც ყოველი კომკავშირელის გულშია აღმართული.

ვალ. აბულაძე

კოლმეტიური მეურნეობა და მავნებლობა

„წვრილი მიწათმოქმედების გარდაქმნა, მთელი მისი ფსიქოლოგიის და ხე-ჩვეულებების გარდაქმნა რამოდენიმე თაობის საქმეა. წვრილი მიწათმოქმედებისადმი დამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტა. მთელი მისი ფსიქოლოგიის გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზისს — ტექნიკას, ტრაქტორების და მანქანების მასიური მასშტაბით გამოყენებას მიწათმოქმედებაში, მასი-


ურ ელექტროფიკაციას“ (ლენინი). ჩვენი სასოფლო მეურნეობის ახლანდელი რეკონსტრუქციის პერიოდისათვის უდიდესი ამოცანა ხორციელდება.

ჩვენი სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში კომუნისტური პარტიის სწორმა ხელმძღვანელობამ დაარწმუნა გლეხობა კოლმეტიური მეურნეობის უპირატესობაში, რის შედეგადაც მთელი რიგი სოფლების და რაიონების კოლმეტივები, ყველა ამ წარმატებას ხელი შეუწყო მუშათა კლასის და გლეხობის საწარმოო კავშირის განმტკიცებამ. რწმენა იწვევს შემდგომი მუშაობის იმპულსს, ხალისს, რის გამო ღარიბ გლეხობასთან ერთად ჩვენ გვყავს საშუალო გლეხობის უდიდესი მასა კოლმეურნეობებში.

იმისათვის, რომ თითოეული გლეხი გარდაეჭმნათ სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ მუშაკად, ბევრი მუშაობაა ჩასატარებელი და ბევრი დაბრკოლებაა გადასალახავი. რაც უფრო ჩქარი ტემპით ჩავატარებთ სას. მეურნეობის მექანიზაციას, მით უფრო მალე გადავლახავთ ყოველგვარ სიძნელეს, მით უფრო დაჩქარდება გლეხკაცობის კულტურული დონის ამაღლება და მით უფრო გარდაიქმნება მისი წვრილ - ბურჟუაზიული ფსიქოლოგია.

მანქანა - იარაღების შეტანით სოფლის მიურნეობაში გლეხკაცობას შეუძლია მცირე დროის განმავლობაში მეტი მუშაობის შესრულება. ეს მდგომარეობა გლეხობას აძლევს მე-

ტად უფრო დიდ დროს, ვიდრე კულტურული საქმიანობის გაშლისათვის. ყოველივე ეს უკულტურო გლეხს კულტურულ გლეხად აქცევს და უკულტურო სოფელს — კულტურულად. ეს წარმატებები ხელს უწყობს სოციალიზმის შენებას. ლენინი გვასწავლიდა, რომ შეუძლებელია უკულტურო ხალხში სოციალიზმის აშენება, საჭიროა ხალხი კულტუროლი გახდეს ყველა ჩამორჩენილ სოფელ-



პიონერი კრა-კერვის სკოლაში



ვახის აკვრა სარზე.



საქ. სამხედრო გზას ასფალტით აგებენ.

შიო — ეს დღეს გადაუღებელი ამოცანაა.

გაწლილი ფრონტით სოციალისტური შეტევა სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში გულისხმობს კაპიტალისტური ნაშთების ძირფესვიანად მოსპობას.

ბურჟუაზიული ელემენტები ყოველგვარ ღონეს ხმარობენ საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატორის დასამხობად და ბურჟუაზიული წყობის დასამყარებლად. ამითაა გამოწვეული კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში. ასეთი მავნებლები არიან ქალაქად წვრილი ბურჟუაზიული ელემენტები და სოფლად კოლაკები. ჩვენში მავნებლებს მხარს უჭირს და რაზმავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბურჟუაზიულად მოაზროვნე ინტელიგენციის ნაწილი. ეს მავნებლები მთლიანად არ არიან განადგურებულნი.

ბურჟუაზიულ მავნებლობათა ძირფესვების ერთიანად ამოგდება შეუძლებელი იყო. სანამ ჩვენ მთლიან კოლექტივიზაციაზე გადავიდოდით, ადგილი ჰქონდა კოლაკების შეზღუდვას და შევიწროების პოლიტიკას. მხოლოდ მთლიან კოოპტივიზაციის ნადავზე ხდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

კულაკები ყოველგვარ საშუალებას მიიპოვებენ კოლმეურნეობის ჩაშლელად.

კულაკები სწვავენ კოლმეურნეობის ქონებას. ჰკლავენ კოლმეურნეობაზე ხელმძღვანელობას და სხვა.

კულაკურ მავნებლობას ხელს უწყობდა ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომელთაც მკვნიბლობა შეჰქონდათ სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში. სასოფლო მეურნეობაში ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობდა კონდრატიევი - გრომანი. „მათი პროგრამა, — ამბობს მეღიუტანი, — მდგომარეობდა ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რესპუბლიკების აღდგენაში. ეს ფაქტურად პროლეტარიატის დიქტატორის დასახმარებლად და საბჭოთა მთავრობის დასახმარებლად“.


მათი აზრით, საჭიროა უცხოეთიდან მანქანა - იარაღების შემოტანის შეწყვეტა და მის მაგივრად სხვა ნაწარმოების შემოტანა, მაგ: პურის და სხვა. ეს ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის აშკარ ხელს შეშლავს, რადგან ჩვენი სოფლის მეურნეობა საჭიროებს ტრაქტორს, გუთნებს, კომბაინს და სხვას. მავნებლებს სურთ ჩვენი ქვეყანა გადაიქცეს კაპიტალისტური ქვეყნების გამსაღებელ ბაზრად. ლაყობენ აგრეთვე იმაზე, რომ ჩვენი გეგმიანობა სოფლის მეურნეობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში არ ხორციელდება და არც შეუძლია განხორციელდესო, ნამდვილად კი ჩვენი გეგმები ყოველ დარგში გადაჭარბებით სრულდება. ჩვენ ხუთწლიან გეგმას ოთხ წელში ვასრულებთ. არცერთ მშრომელს არ შეუძლია დაიჯეროს მათი ლაყობა. ერთი მავნებელთაგანი თავის ჩვენებაში ამბობდა:

„მავნებელთა ორგანიზაციის ამოცანებს და მიზანს სოფლის მეურნეობის დარგში შეადგენდა: 1. სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ყოველგვარი შეწყვეტა, რასაც თავის მხრივ უნდა გა-

მოეწვია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპების შენელება... და კაპიტალისტური ელემენტების განვითარებისა და განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა... და ამრიგად ის საბოლოო მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის შეცვლას ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რესპუბლიკების პრინციპების მიხედვით“. აქედან უკვე ნათელია ის თუ რა მიზნებს ისახავდნ მავნებლები.

საქართველოშიც მოიპოვებინ დამცველები იმ კონტრევილიუციონური ორგანიზაციის, რომელმაც შენით გვექონდა ლაპარაკი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მავნებლობა გვაქვს, სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში, მაინც იმარჯვებს მღუმებისა და გლეხების მილიონიანი მასების კომუნისტური შრომა: ფორმები. მიუხედავად მავნებლობისა, ჩვენმა მშრომელმა მასამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ყოველ დარგში გადააჭარბა გეგმებს და ხორციელდება პარტიის ლოზუნგი „ხუთწლიანი 4 წელში“. პროლეტარიატის მე-3 თაობამ საბოლოოდ უნდა მოუღოს ბოლო მავნებლობის პრაქტიკულ გამოხატულებას სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში. პიონერების მოვალეობას შეადგენს თავის მოძმე კომკავშირთან ერთად პარტიის ხელმძღვანელობითი მეტი აქტივობით ჩაებას კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში სოციალისტურ მშენებლობაში. ამით ძირ - ბუდიანად უნდა ამოვადოთ ისტორიულად დაღუპული კაპიტალისტური ელემენტების ნაშთები. ამრიგად, „ჩვენი ქვეყანა ლითონის ქვეყნად, ავტომობილიზაციის ქვეყნად ვაქცივით და როდესაც საბჭოთა კავშირს ავტომობილზე დავსმავთ, ხოლო გლეხს ტრაქტორზე, მაშინ სცადონ და დაგვეწიონ პათივიცემული კაპიტალისტები... ჩვენ მაშინ დავინახავთ, რომელი ქვეყანა შეიძლება „ჩავთვალვით“ ჩამორჩენილად და რომელი მოწინავედ“. (ი. სტალინი).



„ოცნებე“ - მათი მსგებრე ადამიანად რიადგანე - მათი მსგებრე ადამიანად



ჩახუნდენ

პანტ. ჩხიკვაძე

მ. ა. გ. რ. ე. ლ. ზ. ბ. ა. *

ილიუსტრაციები მხ. ტიმოფევისა.

დიდი მზრუნველობით შემოხედენ ჯოტოს საავადმყოფოში. სასწრაფოდ გამოიძახეს დოსტაქარი, კონსულიუმი შეადგინეს და, საექიმო კონსილიუმის დასკვნით, ჯოტოს დაზიანებული ფეხი რენტგენის სხივებით გააშუქეს, დამტვერეული ძვლები ჩარჩოებში ჩააყენეს და გარედან არტაშენები შემოაკრეს...

— საბრალო ბიჭუნა!—უცრემლებოდენ მოწყალე დები, ჯოტოს კენესაზე გულაჩუყებულნი... დოსტაქარები კი... (აბა დოსტაქარი რის დოსტაქარია, თუ ავადმყოფის ნერვიულობამ და კენესა-წამოძახილებმა მასში შებრალებს გრძობა გააღვიძა!) ყასაბივით უტრიალებდენ დაზიანებულ ფეხს გარშემო და მეტის მეტი გულცივობით ოპერაციის თაღარიგს იჭერდენ.

— ცოტა კიდევ... ცოტა კიდევ და... — ანუგემა ექიმმა ავადმყოფი, როცა ოპერაციის დასასრულს მთუახლოვდა და არტაშენებით გაკრულ ფეხზე გარშაშის გორგოლა შემოახვია...

— დედიკო!—ცივი ხმით მოთქვამდა მაგრამ ჯოტოს ყურს არავინ უღებდა... ექიმები ჩეულებრივად გულგრილობით განაგრძობდენ ოპერაციას.

— აი, მოვრჩით კიდევ!—სტევა ბოლოს ხელნაცადმა დოსტაქარმა და მომვლელებს მიმართა: „დააწყინეთ“.

ჯოტო დააწყინეს საავადმყოფოში. ცალკე მომვლელი მიუჩინეს...

სიჯის საზომი ფურცელი ტახტის ბოლოზე მიუკრეს.

— ახლა როგორ ხარ ბიჭიკო!—მოუბრუნდა დოსტაქარი ჯოტოს და თავზე ხელი გადასვა.

„რა კარგი ყმაწვილია და შეიძლება ფეხი დაუზიანდეს კიდევ“—გაიფიქრა მან თავისთვის და უნებლიედ სახე მიეღრუბლა. ექიმი წასასვლელად მოემზადა.

— თუ საჭირო ვიჭებები შემატყობინეთ,—

განუცხადა ექიმმა მორიგე მოწყალე დას და თავზე ქუდი დაიწურა.

— ექიმო!—მოთქმით აღმოხდა ჯოტოს გულიდან და მიმავალ ექიმს თვალი გაუშტერა.

— რა იყო ბიჭიკო! ფეხი ხომ არ გაწუხებს წინანდებურად?

— ფეხი უნდა მომპრათ? ფეხბურთი?—ჯოტომ სიცხიანი თვალები ჭერს მიაშტერა.

— ფიქრი ნუ გაქვს, ბიჭიკო! ფეხი მოგირჩება და ფეხბურთსაც ჩქარა ითამაშებ... ამ სიტყვით გამოეთხოვა ექიმი ჯოტოს და საცადმყოფოდან გავიდა.

ჯოტოს სიცხე ოპერაციის შემდეგაც არ დაუვარდა და პირველი ღამე საავადმყოფოში ბოღვაში გაათენა.

„კოტე! ფეხი რად მომტეხე, შე უნამუსო? მე რომ ფეხი მომპრან... შენა. შენ ხომ იცი, მე უფებოდ რომ არ ვიცოცხლებ... ფეხბურთი... უფებოდ ფეხბურთი.—ბოღვადა ჯოტო და სახეზე აღმური ასდიოდა სიცხისაგან.“

როგორც იქნა, გათენებისას ჩაეძინა ჯოტოს, და მომვლელმა მორიგი ცვლის მომვლელი გააფრთხილა: „აო გააღვიძო, მთელი ღამე არ უძინია“.

..*

— ჯოტო არ ვნახოთ? რას იტყვით ბიჭებო?

— ვნახოთ, დღეს რა დღეა?

— ხელუშაბათია... სწორედ დღეს არის ნახვის დღე.

— მაშუ წავიდეთ... გოგობიც თან წავიყვანოთ, ჯოტოს გაეხარებდა—გადასწყვიტეს ერთხელად ჯოტოს ამხანაგებმა და საავადმყოფოში წასასვლელად მოემზადენ.

— კოტე! შენც ხომ წამოხვალ საავადმყოფოში?

კოტე აიღერდა... დარცხვენილი შემოტრიალდა და საცოდავი თვალებით ამხანაგებს სათითაოდ გადახედა... კარგი ხანი იდგა კოტე ასე დაფიქრებული და გაშტერებით... ბოლოს ოღნავ გასაგონი ხმით წაილულულუქა...

— ნე ვერ წამოვალ ამხანაგებო... ყველა განციფრდა კოტეს ასეთი განცხადებით.

ზოგმა რა გაიფიქრა და ზოგმა რა.

— რატომ არ წამოხვალ?—ვერ მოითმინეს ზოგიერთებმა და კოტეს გარშემო შემოხვიენ.— ჯოტო ხომ შენი კარგი მეგობარია... საუკეთესო ამხანაგი....

— ვერ წამოვალ...—ისევ გაიქნია თავი კოტემ და ამხანაგებისაგან პირი მიიბრუნა...

— რატომ?—არ ეშვესოდა ამხანაგები.

— მეხათრება,—კანკალეხული ხმით წამოიძახა ბოლოს კოტემ, თითქო ეს არის უნდა ატრედესო.

— გეხათრება?!

— აბა, როგორ წამოვიდე ჯოტოს სანახავად, როცა ფეხი მე მოვტეხე თამაშობაში...—კოტე დამუწვდა, ფიქრებში გაღიკარგა.

— ძალად ხომ არ მოგიტეხია, შემთხვევით მოგივლიდა... ჯოტოს ფეხიც მოუტრება და თქვენ ასე მეგობრები და კარგი ამხანაგები იქნებით.

— კი, მაგრამ... ვინ იცის... იქნებ შეწუხდეს ჩემს დანახვაზე და ამით ვი თუ ტიცილეში უფრო გაუშმინდეს...

— სენტიმენტალობ შენც, რაო!—წავიდეთ, ნუ აყოვნებ!—შემოსძახეს კოტეს ამხანაგებმა, და პიონერაზმელები, ჯოტოს მეგობრები და სკოლის ამხანაგები, დაიძრენ ქალაქის საავადმყოფოსაკენ.

— რა წავულოთ, ბიჭებო, კოტოს, ა?

— მართლა, რა უნდა წავულოთ?—დაფიქრდა ამ საკითხზე ზოგიერთი.

— მოდი... მოდი... „ტიანუსკა“ ვიყილოთ, ერთი კოლოფი...!

— დაიცა, ერთი! მოდი, შოკოლადი წავულოთ...!

— შოკოლადი არა, ერთი შენც!

— ხილი ვუყილოთ... ჯოტოს ხომ ხილი უყვარს...!

— არა,—არ ეთანხმებოდენ ერთმანეთს პიონერები და ყველა საკუთარ ორიგინალობას იჩენდა საჩუქრის არჩევაში...

რას არის პოლიტექნიკი.

დღეს ყველამ უნდა იცოდეს სამი სიტყვა:

- ხუთწლიანი,
- საწარმო-საფინანსო გეგმა,
- სოცშეჯიბრი.

დღეს ყველამ უნდა იცოდეს სამი ციფრი:

- ხუთი,
- ოთხი,
- ასი.

— იძლევი ხუთწლიან ოთხ წელში!

— იძლევი საწარმო-საფინანსო გეგმის ასი პროცენტით შესრულებას!

მაგრდება ხუთწლიანი კუნთები, ურალის ქარხნების ფოლადით მაგარი. ამ კუნთებს გაყავს ლიანდაგები ალა-თაუს ყინულოვანი მწვერვალებიდან, რომელიც შუა სკრის ბაუმანის ხეობის ვიწრობებს, ისინი ადნობენ ეკლესიის ზარებს და აერთებენ დონბასის შავ ქვანახშირს დნებროსტროს თეთრ ნახშირთან.

333 ათასი დასახლებული პუნქტი იცვლის თავის სახეს. თურქ-სიბი — ხუთწლიანი პირმოლა. ბოლშევიკური გზის 1442 კილომეტრმა გადასჭრა უდაბნო, მდინარეები, ხრამები და კახაკისტანის მთები.

ეს არის გამარჯვება ამერიკულ ტემპებზე. ამერიკელებს დღეში გაყავთ მხოლოდ 2 1/2 კილომეტრი გზა, ჩვენებს — 4 კმ.

ამერიკელი ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ მდინარე ირტიშზე ხიდის აშენებას 26 თვის მუშაობა დასჭირდებოდა, ჩვენ კი ის 8 თვით ადრე ავაშენეთ.

თურქსიბი სკოლაა. აქ ლიანდაგებზე შექმნილი იყო მოწაფეობის სპეციალური პრაქტიკული სკოლები.

5.000 კაცმა შეისწავლა წერა-კითხვა. ახლა მხარე პროფტექნიკური განათლების კურსების ქსელით დაიფარა.

სკოლები, კურსები, ინტერნატები ამზადებენ ინდუსტრიული კახაკისტანისთვის სამრეწველო პროლეტარიატის ახალ კადრებს.

უსაზღვრო მიწაზე

აქ აღარ იქნება კავი და თოხი, აქ ყანაში ერთი ტრაქტორი შესცვლის 20 ძლიერ გასუქებულ ცხენს. 60.000 ტრაქტორი არღვევს დღეს ჩვენი მინდვრებისა და ყანების გულმკერდს, ჩვენ ვუახლოვდებით ლენინის ციფრს — ხუთ წელში უნდა გვეყოლოს ნახევარი მილიონამდე ფოლადის ცხენი.

იზრდება ახალი ფაბრიკების, ქარხნების, გირაბების და ელექტროსადგურების მწკრივი. უდიდესი მშენებლობა დნებროსტროს, ტრაქტორსტროს, რიონჰესის — დანიშნულ ველაზე ადრე დათავრდება.


1924-28 წლებში ჩვენ ამერიკაზე 9-ჯერ უფრო სწრაფად მივდიოდით წინ და 2-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ინგლისი.

ჩვენ შეგვიძლია და კიდევ უნდა წავიდეთ წინ დიდი საჩქარით. მაგრამ ამისთვის საჭიროა ფიქრი და საქმის შედაჩებით კიდევ უფრო კარგად კე-

ბლებას იველებურად მომზადება არ შეიძლება. კაპიტალისტურ ქარხანაში მუშა მანქანის დამატებაა, ის წყაროა კაპიტალისტის მოგების. მხოლოდ ამ მხრივ არის კაპიტალისტი დანტერესებული მუშით. მეტი გააკეთებინოა, ცოტა მისცეს, — აი რას ფიქრობს კაპიტალისტი.

კაპიტალისტურ ქარხანაში მუშა მხოლოდ თავისი სამუშაო ძალის გამოყენებით. ფაბრიკა - ქარხანა კაპიტალისტს ეკუთვნის. იმის სურვილზეა მუშების დაქირავება და ქუჩაში გამოვდება. კაპიტალისტი არ ფიქრობს

საგზაო მუშაობაში — კოლექტივში



თება, ვიდრე ახლა; უნდა გვექონდეს მოსაზრებელი თავი და ჭკვიანი ხელები.

პაღრები — აი პირველი სიტყვა, რომლის წარმოთქმაა საპირი

ყველა გიგანტი ქარხნის, ფაბრიკის, გზების, ტრაქტორების, ავტომობილის ამუშავება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ჩვენ მილიონობით გვეყოლება კვალიფიციური მუშები, ახალ ტექნიკით შეიარაღებულნი და ახლად აღზრდილნი.

ჩვენ გვჭირდება ასეული ათასი სპეციალისტი

ინჟინერი, ტექნიკოსი, აგრონომი, და ეკონომისტი და სხვ., რომლებიც კომუნისტიზმისთვის იქნებიან თავდადებულნი.

ეს ასიული ათასნი, ეს მილიონები უნდა მოვაზადოთ მოკლე ხანში, თორემ შეჩივდება მშენებლობა.

მაგრამ როგორ მოვაზადოთ, როგორ შევასწავლოთ — ძველებურად? ისე, როგორც იყო რუსეთში წინა და როგორც არის დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში? არა, სოციალიზმის მშენე-

მუშის განათლებაზე.

სულ სხვა მდგომარეობაშია მუშა საბჭოთა ფაბრიკაში. ის არ არის უბრალო ამსრულებელი, ის არ არის მანქანის უბრალო დამატება — მუშა წარმოების კოლექტიური პატრონია.

ვლეს ამსრულებელი, ის შეიძლება სხვა გამომგონებელი გახდეს, ზეგ კი — თავისი წარმოების უდიდესი ორგანიზატორი.

ინჟინერი და ტექნიკოსიც სხვა მდგომარეობაში არიან საბჭოთა ფაბრიკაში, ვიდრე კაპიტალისტურში. იქ ინჟინერი თავს ადგას მუშებს, ის განათლებული ყურის მგდებელი და კაპიტალისტის ბრძანებების გამტარებელია. ერთგული სამსახურისთვის მათ კაპიტალისტის მაგიდიდან ხშირად ხდება დიდნაჭრიანი ულუფები.

ჩვენ ქარხანაში ინჟინრის როლი კი სულ სხვაა. საბჭოთა ინჟინერი — არა მოგების მონაწილეა, არამედ სოციალისტური მშენებლობის. ის ტექნიკური ხელმძღვანელია მუშათა მასებზე, როგორც უფრო გამოცდილი და მცოდნე ამხანაგი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



პატარა კორესპონდენტი


1.

უყვარს გოგის კითხვა და გადაშლილი წიგნები, ერთობ სწორად კითხულობს ამზობებულ სტრიქონებს; გაიტაცებს ბრძოლები და ბავშური ფიქრები, ხანაც მარტო ოცნებით წიგნის გმირებს იგონებს. ერთხელ, როცა უკრნალი გადიკითხა ბოლომდე, წაიკითხა, რომ წერილს სწერდა ვიღაც პატარა, დედის მოსვლა უცადა თითქმის შებინდებამდე და განზრახვა უამბო, რაც რომ ფიქრით ატარა. უთხრა: „დედი, იცირა? მე ხომ პიონერი ვარ; ვნახე, დაუბეჭდიათ პიონერის წერილი. მეც მსურს ჩვენს კოლექტივზე იქ შენიშვნა ერის. მითხარ, როგორ მოვიქცე; — ეს მაქვს გადაწყვეტილი“. გაეცინა დედას და გადაკოცნა ბიჭიკო, მის სიხარულს არა აქვს დასასრულის წერტილი. უკარნახა პატარას, და გიგომ კი დასწერა, პიონერთა ბანაკზე ძალზე ვრცელი წერილი.

2.

ერთი კვირა გავიდა, რაც რომ გოგამ წერილი დასაბეჭდად გაგზავნა, საკმაო დრო - ხანია, დღეს მიიღო უკრნალი სისხლის ფერი წითელ-ყდით, შიგ შენიშვნა იხილა, ხტის და თან უხარია. სიხარულით ატოკდა, აირბინა ჩუჩები, მირბის, მიქრის ქარივით, — სირობილშია ნაქები. კოლექტივში ახარა მასავით გოლოჩორებს, უწონებენ მას ამას დიდი ამხანაგებიც.

ნორჩი ენტუზიასტი შრომობს, თან უხარია, ტემპს არ უნდა ჩამორჩეს, უყვარს შრომის წამები. ნაკლსაც ხედავს, მიღწევაც ერთობ უამრავია, — და კალამი მზადა აქვს პიონერულ ამბებით.



ტრაქტორი — ახალი გუთნით

სოლომონ მახათაშვილი

ს ა უ ზ ა რ ი კ ი ო ნ ე რ ე ბ თ ა ნ

რელიგიის მიერ საუკუნოებით დახშობილი ადამიანის გონება ჯერ კიდევ სახეებით არ განთავისუფლებულა საჩუქრებრივი ცრუ-მორწმუნეობისაგან.

მეცნიერება და რელიგია მტრებივით არიან დაპირისპირებული ერთიმეორესაგან. რათა? იმიტომ რომ მეცნიერება არა სცნობს სასწაულს და ყველა მოვლენას ბუნების მტკიცე გარდაუვალ კანონთა მოქმედებით ხსნის, საჩუქრებრივი კი სულ სასწაულზეა დამყარებული: ღმერთი, ბუნების კანონების წინააღმდეგ, აცოცხლებდა მკვდრებს, სჯიდა ადამიანებს წარღვნით და სხვ.

ბუნების მოვლენები განსაზღვრულ წესს ემორჩილება. ბუნების მოვლენებში გარკვეული და განსაზღვრული დამოკიდებულებაა ერთი მოვლენისა მეორისაგან. ერთი მოვლენა წინ უძღვის მეორეს, იწვევს განსაზღვრულ შედეგს. უმიზეზოდ არათარი არ ჩნდება. ბუნების მოვლენათა ამ დამოკიდებულებამ და კავშირმა გამოწველისი არ იცის, თუ რელიგიას დაუჯერებთ, ბუნებაში არავითარი კანონშეწონილობა არ არსებობს, ყველაფერი ისე ხდება, როგორც ღმერთს მოესურვება. ბუნების კანონები რომ არ არსებობდეს, ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. ბუნების კანონების დარღვევა არ შეიძლება, და რაკი კანონების დარღვევა შეუძლებელია, შეუძლებელია სასწაულიც.

ყველაფერი რაც მეცნიერებამ გამოიკვლია, ყოველი დასკვნა, რაც მეცნიერებამ კვლევა-ძიებიდან გამოიტანა, რელიგიის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. მოვიყვანოთ მაგალითი.

ბიბლია გვასწავლის, რომ იყო დრო, როდესაც არაფერი არ არსებობდა და ღმერთმა არაფრისაგან 6 დღეში შექმნა ქვეყნიერება, ცოცხალი არსებანი და მათ შორის

ადამიანიც; დადგება დრო, ნათქვამია იქვე, როდესაც მთელი სამყარო მთლიანად გაქრება, დარჩებიან მარტო ღმერთი, ანგელოზები და ადამიანთა სულები.

მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ბუნებაში არცერთი ნივთიერება არ ქრება, ისე როგორც ის არაფრისაგან არ შეიქმნება. ამას თითქოს ეწინააღმდეგება ჩვენი ყოველდღიური დაკვირვებანი. მართლაც, ჩვენ ყოველდღე შეგვიძლია დავაკვირდეთ ღუმელში შეშის წვას, — ამ დროს შეშისაგან მხოლოდ მცირეოდენი ნაცარი რჩება. აგრეთვე შეიძლება თვალყური ვადევნოთ სანთლის და ნავთის წვას, რომელნიც ნაშთის დაუბრუნებლად იწვიან, მაგრამ აღნიშნულ ნივთიერებათა გაქრობა მხოლოდ მოჩვენებითია: ისინი სხვა ნივთიერებებად იქაიკიან.

როდესაც ჩვენ თვალწინ მცირე მარცვლისაგან უზარმაზარი ხე იზრდება, ხის ნივთიერება არაფრისაგან კი არ შეიქმნება, არამედ ხე მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში ნიადაგიდან და ჰაერიდან ამოკრებს სხვადასხვაგვარ ნივთიერებას და თავის სტეულად გარდაქმნის მათ. ერთის სიტყვით, ყოველი საგანი და ნივთი ჩნდება რაიმე მატერიისაგან, მაგრამ არაფრისაგან, არარისაგან ვერასოდეს ვერაფერი ვერ გაჩნდება. ჩვენ ყოველგან და ყოველთვის ერთი ნივთიერების მეორე ნივთიერებად გარდაქმნას ვხედავთ. მათი საერთო რაოდენობა ბუნებაში უცვლელია. და სწორედ ეს არის ნივთიერების შენახვის კანონი.

ბიბლიაში მოთხრობილი ზღაპრები სამყაროს არაფრისაგან შექმნის შესახებ ეწინააღმდეგება ბუნების ძირითად კანონს: მატერიის მარადისობის კანონს.

მეცნიერებამ იმდენად კარგად შეისწავლა ბუნების კანონები, რომ ნამდვილ მეცნიერულ პასუხს იძლევა, თუ

როგორ გაჩნდნენ პლანეტები, მათმორის ჩვენი დედამიწა, მზე და საზოგადოდ როგორ აღმოცენდებიან ხოლმე სამ ყაროში ახალი ქვეყნები.

რელიგიის ზღაპრები ქვეყნიერების გაჩენის შესახებ ოდნავაც ვერ ხსნის იმას, რაც მოხდა.

სიცოცხლის წარმოშობის საკითხი იპყრობდა და ახლაც იპყრობს უდიდეს მეცნიერთა ყურადღებას. მეცნიერები ცდილობენ მის მეცნიერულად დასაბუთებას და ფაქტებით დადასტურებას.

რელიგია აძინებს კაცობრიობას, მეცნიერება კი მოუწოდებს ყველას ქვეყნარტების მუდმივი ძიებისაკენ. და ბუნებასთან ბრძოლისაკენ მართებული მეცნიერული გამოკვლევები ამ მიმართულებით ისე გვიან დაიწყეს, რომ მეცნიერებს ჯერჯერობით შეუძლებლად მიაჩნიათ საბოლოოდ შეჩერდნენ სიცოცხლის წარმოშობის ამა თუ იმ ახსნა-განმარტებაზე.

მეცნიერებას სიცოცხლის წარმოშობა და განვითარება დედამიწაზე ასე აქვს წარმოდგენილი: ძველის ძველად ჩვენი დედამიწის მდგომარეობა, მისი ვითარება დღევანდლისაგან ბევრად განირჩეოდა. დედამიწის ცვალებადობის ისტორიაში იყო მომენტი, როცა შესაძლებელი იყო არაორგანიული ნივთიერებიდან პირველი ცოცხალი ნივთიერების წარმოშობა.

მეცნიერება აღიარებს ყველა ცოცხალი არსების ნათესაობას, იმას, რომ ყოველი ცოცხალი არსება წარმოსდგა პირველი ცოცხალი ნივთიერებისაგან, რომელიც პირველ მარტივ ორგანიზმად იქცა, ამ უმარტივეს ორგანიზმიდან კი ათი და ასი მილიონი წლის განმავლობაში ევოლიუციონური, თანდათანობითი ცვლებადობითი გზით მიიღწია თანამედროვე ცხოველებისა და მცენარეებისა და სახეობათა სხვადასხვაობამდე.

მეცნიერება აღიარებს ცოცხალ არსებათა ნათესაობას ურთიერთთან, მაგრამ იქნება ადამიანისათვის გამონაკლისი დაუშვა, იქნებ მან აღიარა ადამიანის ღვთაებრივი წარმოშობა? მეცნიერება ამტკიცებს, რომ ადამიანისათვის არ არსებობს განვითარების სხვა კანონები, ადამიანი არაა გამონაკლისი ცხოველთა სამეფოში.

თუ საერთო წინაპრიდან წარმოშობილ ცხოველებს ერთ ერთ რიგზე დავამჯკრივებთ, მივიღებთ ცხოველთა

გრძელ განუწყვეტელ ჯაქვს. ამ ჯაქვის თავში იქნება სრულიად მარტივი ერთუჯრედიანი ცოცხალი არსება და ბოლოში — უმაღლესად განვითარებული ორგანიზმის მქონე ადამიანი. ადამიანი არ არის სასწაულის, ძაღვის შექმნილი ღვთის მზგავსი არსება, არამედ იგი ფეხზედ დამდგარი ცხოველია. ადამიანი და მაიმუნი ახლო ნათესავები არიან, ერთი წინაპრიდან წარმოშობილი.

ადამიანი სრულიად გამოიყო ცხოველებიდან იმ დროიდან, როდესაც მან უკანა ფეხებით დაიწყო სიარული და განთავისუფლებული ხელებით დაიწყო იარაღის მზადება. ის ახლა უფრო უკეთესად იცავდა თავს მტრებისაგან და მეტ საზრდოს პოულობდა.

ყველა ზემო ნათქვამი ადასტურებს, რომ მეცნიერების დასკვნები ძირითადად ეწინააღმდეგება იმას, რასაც რელიგია გვასწავლის. რელიგია მხოლოდ აფერხებს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა გარკვევას და ხელს უწყობს ექსპლოატატორებს ხალხი სიბნელესა და უფიცობაში იყოლიონ.

დაახლოვებით საშუალო საუკუნოებში რელიგიის მსახურნი მიხვდნენ, რომ მეცნიერების გამოკვლევები ძირითხრიდა რელიგიის არსებობას. ამიტომ მათ მეცნიერებას სამკვ-სასიციოცხოლო ომი გამოუცხადეს. ზოგი ცნობილი მეცნიერი გამოკვლევისათვის აწამეს. რელიგიის მსახურებმა სარწმუნოების შერყენად გამოაცხადეს იმის მტკიცება, რომ დედამიწა ტრიალებს მზის გარშემო. ბერი ჯორდანო ბრუნო, რომელიც აღიარებდა, რომ არა მზე ბრუნავს დედამიწის ირგვლივ, არამედ დედამიწა მზის ირგვლივ, ცოცხლად დასწვეს, როგორც ღვთის შემცოდველი.

რელიგიის მსახურნი ჯალათად გადიქცენ და თავის ბატონობის შენარჩუნებისათვის ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ.

მაგრამ მეცნიერების ჩაქრობა ვერ შესძლეს, მეცნიერება განვითარდა, დაიარაზმა ისე, რომ მან რელიგიის არარაობა დაამტკიცა.

„მკვდარი რელიგია, — ამბობს ერთი მეცნიერი, — გავს იმ ბებერ ქვს, რომელსაც დიდი ხანია გყოლი აღარა აქვს და შერჩენია მარტო ქერქი, მაგრამ შავ ჩრდილს იძლევა იმ დრომდე, ვიდრე ცული ან მეხი არ წააქცევს“.

ნ ა რ მ ვ ი

ხ ი ს ზ რ დ ი ს დ ა ჩ ქ ა რ ე ბ ა

კაცობრიობას აუარებელი ხე-ტყე სჭირდება, ხე კი შედარებით ნელა იზრდება. მთელი ათეული წლები უნდა გავიდეს, რომ ხე მოსაჭრელი გახდეს. ამერიკაში დაიწყეს ცდების ჩატარება — ხომ არ შეიძლება ხის ზრდის დაჩქარებას და დიდი მიღწევებიც აქვთ: შედარებით მცირე ხნის განმავლობაში იქ ერთ-ერთ სატყეოში უკვე იმხელა იზრდება ხე, რომ მისი მოჭრაა საჭირო.

ეს ნახატი 38 წლის ფიჭვის განაჭრილს წარმოადგენს. ეს ფიჭვი 38



წლის განმავლობაში ჩვეულებრივ პირობებში იზრდება და როგორც ნახატი გვიჩვენებს, ყოველწლიურად ძალიან ცოტას მატულობდა, ხოლო შემდეგ მთელი 15 წლის განმავლობაში ხელოვნურად გაუმჯობესებულ პირობებში იზრდებოდა და სამჯერ მეტი შეიმატა ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე წინად — 38 წლის განმავლობაში.

კამაქტორი: სარედაქციო კომისია.

1931 წ.

გაგოღის

1931 წ.

საყმაფვილო დასურათეზული ჟურნალები:

გოზრდოთათვი

„პიონერი“

ორკვირული

და

მხირაწლოვანთათვი

„ოქტომბრული“

ჟოველთვიური

ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით

ბაღდადაძე

„პიონერი“ — წლით — უკრემოდ — 4 მან.

უკრემოთ — 5 მან.

ნახევარი წლით — 2 მან. 20 კ.

ცალკე ნომერი — 20 კაპ.

„ოქტომბრული“ — წლით . . . 3 მან.

ნახევარი წლით . 1 მან. 70 კ.

ცალკე ნომერი . 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1. სახელგამის კერიოდ სექტორში (ტფილისი, რუსთაველის კოლსკ., № 30),
2. სახელგამის შველა მაღაზიაში (ტფილისსა და კოპონციაში), 3. მან-დაბით აღჭურვილ აგენტებთან და 4. ფოსტა-ტელეგრაფის შველა განყოფილებაში

სახელგამი